ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 2016 №183 (7109) ფასი: 50 თეთრი



გვ.4

## კახა ოქრიაშვილი კვლავ მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს

3 აგვისტოდან

აკა მორჩილაძე
გადაფრენა მადათოვზე და უკან

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



# „თინა ხიდაშელმა თავდაცვის სამინისტროდან დოკუმენტები წამოიღო“



## გიგლა ბარამიძე: „პროკურატურამ სასწრაფოდ უნდა დაკითხოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი“

„პოლიტიკურ ვაჭრობაში ჩემპიონთა ლიგა რომ გაიმართოს, რესპუბლიკელები რეალსა და ბარსელონასაც კი აჯობებენ“



გვ.3



## ლევან იზორიამ ახალი მოადგილეები დაასახელა

თავდაცვის მინისტრი ფინანსებს გამჭვირვალედ დახარჯავს

გვ.2

## ლევან ალაფიშვილი: „შეუძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი ვინმემ გააკონტროლოს“

გვ.2



## გია მეფარიშვილი: „პაპუაშვილის განცხადება პოლიტიკური დუღილის აწევისთვის იყო გაკეთებული და არ დასაბუთდა“

გვ.4

„სასამართლოს ძალიან ფართო და მნიშვნელოვანი მისია აქვს. პირდაპირ გეუბნებით, მოვლენების ამგვარად განვითარების გამო ძალიან შეშფოთებული ვარ“



## 2016 წლის 15 ივლისი: თურქეთის დემოკრატიის ნათელი დილა შავბნელი ღამის შემდეგ

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006



## საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ ტირიან!

გვ.5





# ლევან ალაფიშვილი: „შეუძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი ვინმემ გააკონტროლოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სამართლის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.



***— ბატონო ლევან, დეპუტატი ბესელია აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საკონსტიტუციო რევოლუციის გეგმას ჰქონდა ადგილი. საკონსტიტუციო სასამართლოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ?***

— ქვეყანაში არის ისეთი კონსტიტუციური ინსტიტუციები, რომლებიც პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს. რაოდენ დიდი ცდუნებაც არ უნდა იყოს, პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ და უფრო მოზომილები უნდა იყვნენ, რადგანაც პოლიტიკურად მოტივირებული განსჯის საგნად არ აქციონ სახელმწიფოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. ეს ისევ და ისევ დემოკრატიას დააზარალებს. რეალურად ქვეყანაში არსებობს ინსტიტუციები, რომლებიც სწორედ პოლიტიკოსების შეკავების მექანიზმია ჩვენი, ამ ქვეყნის მოქალაქეების სასარგებლოდ. საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, თავს ვიცავთ პარლამენტისგან, რათა მან ისეთი კანონები არ მიიღოს, რომ ჩვენი ცხოვრება შეცვალოს. საერთო სასამართლოები გვინდა იმისთვის, რომ კანონგადაცდომისგან დაგვიცვას, სახელმწიფოსგან იქნება ეს თუ კერძო პირისგან. აქ პოლიტიკის ადგილი ნაკლებია.

***— ზოგადად გამორიცხავთ ნებისმიერი, ხელისუფლების თუ ოპოზიციის მხრიდან გარკვეულ გავლენებს, თუნდაც სურვილს მიმდინარე სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით?***

— გაზაფხულიდან თვალყურს ვადევნებთ ამ პროცესს, მაგრამ აქამდე ხელშესახები ვერაფერი ვნახეთ. შემიძლია მოგიყვანოთ ეროვნული ბანკის მაგალითი, სადაც ანალოგიური მოვლენების მოწმენი ვიყავით. ეროვნული ბანკის აწ უკვე ყოფილ ხელმძღვანელ ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა და პროცესიც დასრულდა, თუმცა, ამ პროცესით ვინ იზარალა? — რასაკვირველია, სახელმწიფომ და მოქალაქეებმა.

***— თქვენ ამბობთ, რომ სწორედ ანალოგიური ვითარების მოწმენი ვართ?***

— დაახლოებით. საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში პოლიტიკოსები საუბრობენ პოლიტიკურ ინტერესზე. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი მხრიდან კეთდება ეს განცხადებები — ოპოზიციიდან თუ ხელისუფლებიდან. ამ შემთხვევაში ორივე მხარე ზოგადად საუბრობს, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ეს საუბრები კი მხოლოდ აზარალებს საკონსტიტუციო სასამართლოს და არაფერს არგებს. რეალურად, თუ ფაქტებთან არ გვაქვს საქმე და ფაქტები არ ვიხილეთ, ეს მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკაა.

ნებისმიერი მცდელობა, რომ გავლენა მოახდინო კოლეგიურ ორგანოზე, უშედეგოა. გავლენის ქვეშ შეიძლება რაღაც ჯგუფი მოექცეს, მაგრამ მთელი კოლეგია ან მთელი შემადგენლობა, ამ შემთხვევაში 9 მოსამართლისგან შემდგარი პლენუმი, ეს შეუძლებელია. ზოგადად, ლოიალური საკონსტიტუციო სასამართლო, რაც დაუშვებელია, ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი ხვალ იმ კანონს მიიღებს, რომელიც მოესურვება.

დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა თქვას, რაც იყო, ის ცუდი იყო და ამას ჩვენ აღარ გავიმეორებთო. ეს იქნება სწორი მიდგომა.

***— 30 სექტემბერს 4 მოსამართლეს, მათ შორის თავმჯდომარეს, ბატონ პაპუაშვილს, უფლებამოსილების ვადა გასდის. შეიძლება, ეს ვნებათაღელვა სწორედ ამას უკავშირდება?***

— 4 მოსამართლის შეცვლით, არა მგონია, პოლიტიკური მდგომარეობა შეცვალოს ვინმემ.

***— პროცედურები როგორია?***

— 2 მოსამართლეს პრეზიდენტი ცვლის ანუ ახალს ასახელებს. ერთი პარლამენტმა უნდა დაასახელოს, ერთი კი — უზენაესმა სასამართლომ. 30 სექტემბერს ასევე ვადა გასდის თავმჯდომარეს — გიორგი პაპუაშვილს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცედურა უნდა დაიწყოს. სწორედ თავად მოსამართლეებმა უნდა აირჩიონ თავმჯდომარე თავიანთი შემადგენლობიდან. სხვა ვერავინ ერევა ამ პროცედურაში. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ კი კოლეგიები ავტომატურად იცვლება. ორი კოლეგია არსებობს 4-4– კაციანი შემადგენლობით, პლენუმი კი მოსამართლეთა 9 წევრისგან შედგება. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს წარმოუდგენელია, წინასწარ განსაზღვრო, ვინ რომელ კოლეგიაში იქნება, პირველში თუ მეორეში. ჯერ არც ის არის ცნობილი, ვის წარადგენს პრეზიდენტი, ვინ იქნება ის ახალი 4 წევრი და რა პოზიციას დაიკავებენ ისინი თუნდაც არჩევნებთან დაკავშირებით. ამიტომ ყველამ უნდა ვიცოდეთ, სად შეიძლება იყოს პოლიტიკური ქიშპობის ასპარეზი და სად — არა.

# ლევან იზორიამ ახალი მოადგილეები დაასახელა

შორენა მარსაგიშვილი




რესპუბლიკელების მიერ ქოქოლადაყრილი თავდაცვის ახალი მინისტრი ლევან იზორია სრული დატვირთვით შეუდგა მუშაობას. გუშინ, 3 აგვისტოს, მან ახალი მოადგილეებიც კი წარმოადგინა. მან მოადგილეები შსს-დან წამოიყვანა ახლა, ალბათ, ამაზე ატყდება გმინვა.

თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტს ლელა ჩიქოვანი დაიკავებს. ლელა ჩიქოვანი შსს-ს ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა?, ბოლო ერთი წელი კი სუსის ადმინისტრაციის უფროსი იყო.?

— ჩიქოვანს უსაფრთოხების სფეროში საქმიანობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს, არის ყოფილი სამხედრო ატაშე ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში, სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი. ჩიქოვანის სახელს სასაზღვრო პოლიციაში მუშაობის დროს? არაერთი რეფორმა უკავშირდება?, — განაცხადა ლევან იზორიამ.

მისი მეორე მოადგილეც შსს-ს კადრია. ნუკრი გელაშვილი შსს-ს აკადემიის ყოფილი რექტორი გახლავთ.

თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ მისი მოადგილეები საქმეს თავს წარმატებით გაართმევენ.

ლევან იზორია ჟურნალისტებს სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. ის, წინამორბედისგან განსხვავებით, არ აპირებს, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდა მოითხოვოს. თინა ხიდაშელმა ეს მოთხოვნა მინისტრად კურთხევიდან რამდენიმე დღეში დააყენა. 3 დღის წინ დანიშნული მინისტრი კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ფინანსებზე ფოკუსირება არასწორია.

— ნებისმიერი უწყების ხელმძღვანელი ყოველთვის, იმისთვის, რომ გამოწვევებთან ადეკვატური იყოს უწყება, ითხოვს, დაფინანსება იყოს გაზრდილი, თუმცა ეს არ იქნება ჩემი აპრიორი და პრობლემებთან გამკლავების დროს ფოკუსირება მხოლოდ ფინანსებზე არასწორია, — განაცხადა იზორიამ ჟურნალისტებთან საუბარში.

მინისტრი ფინანსების გაზრდას, მართალია, არ ითხოვს, მაგრამ პირობას დებს, რომ არსებული ფინანსები ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.

— თქვენ იცით, რომ წლების განმავლობაში იყო პრობლემები ჩაცმასთან, კვებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით. მოდით, ჯერ რაც ფინანსების გარეშე შეიძლება მოგვარდეს, ამას მივაქციოთ მაქსიმალური ყურადღება და იქ, სადაც ფინანსებია საჭირო, ამასაც ყოველთვის პრინციპულად დავაფიქსირებ. მთავრობისა და ამ უწყებისთვის პრიორიტეტი, ბუნებრივია, იქნება უსაფრთხოება, ჯარის კარგ პირობებში არსებობა და შესაძლებლობის შემთხვევაში მთავრობა ჯარს გვერდით დაუდგება, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

მოადგილეებისა და ფინანსების გარდა, მას სხვა საკითხებზეც მოუხდა კომენტარის გაკეთება. ბუნებრივია, ერს აინტერესებს, რას იზამს იზორია ე.წ. წითელაშვილის სკანდალთან დაკავშირებით. გენერალ გიგი კალანდაძის მტკიცებით, მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს წითელაშვილი საიდუმლო სამხედრო ობიექტებზე დაუშვეს, სადაც მან გადაღება აწარმოა.

იზორია აცხადებს, რომ სამინისტრომ პროკურატურას საქმეზე არსებული ყველა მასალა უკვე გადაუგზავნა და გამოძიებაც მიმდინარეობს.

ლევან იზორიას ინფორმაციით, ტრისტან წითელაშვილთან დაკავშირებით საქმე ეხებოდა არა საიდუმლო ობიექტში შესვლის უფლების, არამედ სარეჟიმო წესების დარღვევას.

— ბუნებრივია, პროკურატურისგან მიიღებთ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა წითელაშვილს იქ შესვლის უფლება, გენშტაბის ხელმძღვანელმა ამაზე კომენტარი გააკეთა. მეც ვიყავი დაინტერესებული ამ თემით და, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, აქ საქმე ეხებოდა სარეჟიმო წესების და არა საიდუმლო ობიექტში შესვლის უფლების დარღვევას. მიუკერძოებელი სტრუქტურა, პროკურატურა ატარებს გამოძიებას და ამ გამოძიების შედეგად ყველა კითხვა იქნება პასუხგაცემული, — განაცხადა ლევან იზორიამ.

◆ ◆ ◆

იზორია სამინისტროში დიდი გეგმებით მივიდა, სულ რაღაც 2 თვეში კი ქვეყანა ახალი თავდაცვის მინისტრის ძებნას შეუდგება. ჯერ უცნობია, რომელი პარტია მოიგებს არჩევნებს, შესაბამისად, იმის დადგენაც ძნელია, ვის ჩააბარებენ ამ უწყებას. ისე, იზორია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 23-ე თავდაცვის მინისტრია. თავის დროზე რუსეთს საქართველოს ოკუპაცია რომ არ მოეხდინა, შესაძლოა, იზორია რიგში მეასეც კი ყოფილიყო. დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის მინისტრების სიას ამერიკის ხმა აქვეყნებს. აი, როგორია ეს სია: გრიგოლ გიორგაძე (1918 წლის თებერვლიდან 1919 წლის თებერვლამდე); ნოე რამიშვილი (1919 წლის თებერვლიდან 1919 წლის დეკემბრამდე); გრიგოლ ლორთქიფანიძე (1919 დეკემბერი – 1920 სექტემბერი); ილია ოდიშელიძე (1920 სექტემბერი – 1920 ნოემბერი); პარმენ ჭიჭინაძე (1920 ნოემბერი – 1921 თებერვალი); ჯონი ფირცხალაიშვილი (1991 აგვისტო – 1991 დეკემბერი); ლევან შარაშენიძე (1992 იანვარი – 1992 მაისი); თენგიზ კიტოვანი (1992 მაისი – 1993 მაისი); გიორგი ყარყარაშვილი (1993 მაისი – 1994 თებერვალი); ედუარდ შევარდნაძე (1994 თებერვალი – 1994 აპრილი); ვარდიკო ნადიბაიძე (1994 აპრილი – 1998 აპრილი); დავით თევზაძე (1998 აპრილი – 2004 თებერვალი); გელა ბეჟუაშვილი (2004 თებერვალი – 2004 ივნისი); გიორგი ბარამიძე (2004 ივნისი – 2004 დეკემბერი); ირაკლი ოქრუაშვილი (2004 დეკემბერი – 2006 ნოემბერი); დავით კეზერაშვილი (2006 ნოემბერი – 2008 დეკემბერი); ვასილ სიხარულიძე (2008 დეკემბერი – 2009 აგვისტო);

ბაჩო ახალაია (2009 აგვისტო – 2012 ივლისი); დიმიტრი შაშკინი (2012 ივლისი – 2012 ოქტომბერი); ირაკლი ალასანია (2012 ოქტომბერი – 2014 ნოემბერი); მინდია ჯანელიძე (2014 ნოემბერი – 2015 მაისი); თინა ხიდაშელი (2015 მაისი – 2016 ივლისი) და ლევან იზორია – 2016 აგვისტოდან.

## გია ვოლსკი: „ნაციონალები ბოდავენ“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გია ვოლსკის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საიდუმლო ბაზიდან ოკუპანტი ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის შესაძლო მიწოდების საკითხის პარლამენტში განხილვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

— საგამოძიებო სტრუქტურა არ უნდა ჩაანაცვლოს ნდობის ჯგუფმა თუ სხვა საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც თავისი დანიშნულება აქვს, რასაკვირველია და გაცილებით უფრო სერიოზულ საკითხებს განიხილავს, ვიდრე ამ ბოდვას დაუთმოს ყურადღება. ბოდვის გაგრძელება არის ის, რომ ვითომდა თავდაცვის სამინისტროდან გაჟონა ინფორმაციამ ვინმე წითელაშვილის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ პროკურატურამ ამ საკითხზე მოკვლევა ბოლომდე უნდა მიიყვანოს, — განუცხადა ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თინა ხიდაშელმა თავდაცვის სამინისტროდან დოკუმენტები წამოიღო“

შორენა მარსაგიშვილი

რა კითხვებს უნდა უპასუხოს ხელისუფლებამ, რა საფრთხის წინაშე დააყენეს ქვეყანა თავდაცვის ექსმინისტრებმა, ვინ აფუჭებს თანამდებობებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

– ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამის ნათელი გამოვლინება თინა ხიდაშელის ბოლო განცხადებებია. ეს ქალბატონი სულ რამდენიმე თვის წამოსული იყო თანამდებობიდან, რომ პირდაპირი ეთერით ხელისუფლების დაშანტაჟება დაიწყო.

***– ხელისუფლების დაშანტაჟებაში რას გულისხმობთ?***

– გამოვიდა ეს ქალბატონი და განაცხადა, რომ პირდაპირ ეთერში მიიტანს საბუთებს, რომლის გამოქვეყნება არავისთვის სასიამოვნო არ იქნება. საუბარია სამხედრო საწარმო დელტას ხელმძღვანელზე. ეს საწარმო თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

თუ ეს დოკუმენტები, რომელთა გასაჯაროებითაც ქალბატონი იმუქრება, საიდუმლო არ არის, მაშინ რატომ არ მოახდინა მან ამ ყველაფერზე რეაგირება, როდესაც თავდაცვის მინისტრის პოსტზე იყო და რატომ დაიწყო მაინცდამაინც ახლა ამაზე ლაპარაკი? თუ საიდუმლოა ეს დოკუმენტები, მაშინ რა უფლებით საუბრობს მათზე საჯარო სივრცეში? რა გარანტია გვაქვს, რომ მან ხელს კიდევ სხვა რაიმე დოკუმენტაცია არ გამოაყოლა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ეს განცხადებები ბევრ კითხვებს ბადებს. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, როდემდე უნდა ჩააგდონ ქვეყანა უხერხულ მდგომარეობაში მათ მიერ შერჩეულმა თავდაცვის მინისტრებმა.

ჯერ იყო და თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა თანამდებობიდან მოხსნისთანავე გააკეთა განცხადება, რომ მისი გაშვებით ქვეყანამ თურმე ორიენტაცია შეიცვალა, ახლაა და თინა ხიდაშელი, რომელმაც კაბინეტიდან გამოსვლისთანავე განაცხადა, რომ ქვეყანა ნეობოლშევიზმს უბრუნდება.

***– თქვენი აზრით, უბრუნდება ქვეყანა ნეობოლშევიზმს?***

– ხიდაშელის საქციელია თავად ნეობოლშევიზმის გამოვლინება. სირცხვილია, როცა ადამიანი ევროპულ აზროვნებასა და დასავლური ფასეულობების დაცვაზე დებს თავს და ამ დროს საიდუმლო დოკუმენტების გასაჯაროებით იმუქრება.

ერთი გამაგებინეთ, სადაური ევროპული საქციელია ის, რომ მის უწყებაში არსებული დანაშაული (თუ ასეთი ხდებოდა) არ აღმოფხვრა და ამის დამამტკიცებელ საბუთებს ახლა ხელისუფლების დასაშანტაჟებლად იყენებს.

***– თავად „დელტას“ გარშემო არსებულ სკანდალზე რას ფიქრობთ? რაღაცაში რომ არ იყოს საქმე, ხიდაშელი ამ თემას ასე უბრალოდ არ წამოსწევდა.***

– „დელტას“ წევრების, მათი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. საერთოდ არ ვიცით, რაზეა საუბარი. ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მხოლოდ ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებულ გამაოგნებელ განცხადებაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ის პირდაპირ ეთერში მიიტანს მამხილებელ დოკუმენტებს, რომელიც თურმე არავისთვის სასიამოვნო არ იქნება.

„ქართული ოცნება“ ასეთი უსუსური, არაკომპეტენტური და არაადეკვატური რომ არ ყოფილიყო, ასეთი განცხადების შემდეგ ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ქალბატონი თინა დღეს უკვე დაკითხვაზე იქნებოდა დაბარებული.

***– ხიდაშელი იურისტია და ვერ ხვდება, რა შეიძლება გამოიწვიოს მისმა ასეთმა განცხადე-***



***ბამ? თუ შეგნებულად აკეთებს ამას, რომ „ოცნება“ შანტაჟის ქვეშ ჰყავდეს?***

– მან ძალიან კარგად იცის, რასაც აკეთებს. ის პირდაპირ აშანტაჟებს ხელისუფლებას. მივმართავ ხელისუფლებას, მოიქცეს ისე, როგორც ევროპული ქვეყანა მოიქცეოდა ამ დროს – დაიბარონ ხიდაშელი დაკითხვაზე. ქალბატონი აღიარებს, რომ ხელთ აქვს სკანდალური დოკუმენტები, რომლებიც სამინისტროდან წამოიღო. ვინ არის იმის გარანტი, რომ მან სხვა საიდუმლო დოკუმენტებიც არ გამოაყოლა ხელს.

ამ 4 წლის განმავლობაში რამდენ სამინისტროში შეიცვალა მინისტრი და ყველამ თუ თან წაიღო დოკუმენტები, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. რომელიმეს რაიმე რომ არ მოეწონოს და ეს საიდუმლო მასალები ააფრიალოს, სად მიდიან მერე? ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ მინისტრებად შემთხვევით ხალხს ნიშნავენ.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ხომ ერთ უბედურებაში ჩააგდო ქვეყანა, უარესი სიტუაცია ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში. გიორგი პაპუაშვილმა რამდენიმე დღეში უნდა დატოვოს თანამდებობა და წასვლის წინ იქ სულ აურია ყველაფერი, ფაქტობრივად, უწყებას უთხრის ძირს. მოსამართლეების ნაწილი ბოიკოტს აცხადებს და პლენუმს არ ესწრება, მეორე ნაწილი კი დიპლომატებს ხვდება.

## „პოლიტიკურ ვაჭრობაში ჩემპიონთა ლიგა რომ გაიმართოს, რესპუბლიკელები რეალსა და ბარსელონასაც კი აჯობებენ“

მოკლედ, თანამდებობის პირებმა რომ აურიეს და აღარ იციან, პოლიტიკოსობა უნდათ თუ ენჯეოშნიკობა, ამით ზარალდება ქვეყანა.

***– ზემოთ თქვით, რომ თანამდებობებზე შემთხვევითი ადამიანები ინიშნებიან. რას იტყვით თავდაცვის ახალ მინისტრ ლევან იზორიაზე?***

– იზორიაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. თავდაცვის მინისტრად რომ დაინიშნა, ჰკითხეს, რას აპირებო და ასეთი პასუხი გასცა: ჩემი მთავარი პრიორიტეტი იქნება საღი გონების პოლიტიკაო. „წმინდა გონების კრიტიკა“ გამიგია, ეს ემანუელ კანტის ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომია, მაგრამ საღი გონების პოლიტიკა რა არის, ნამდვილად არ ვიცი. იქნებ ამიხსნას ბატონმა იზორიამ, რას გულისხმობს ასეთი პოლიტიკა.

იზორიას განცხადებამ ანეკდოტური ვითარება შექმნა, მაგრამ მაინც ულამაზო იყო, როგორ აკრიტიკებდა მას დავით უსუფაშვილი. არ შეიძლება, რამდენიმე საათის დანიშნული ადამიანი მხოლოდ იმიტომ გალანძღო, რომ ის შენი ცოლის ადგილზე დაინიშნა.

***– უსუფაშვილისგან ასეთი პოზიციის გამოხატვა ყველას გაუკვირდა. თქვენ რით ხსნით მის გაცხარებას?***

– რით ვხსნი და ეს ოჯახური ჭორიკნობის გაგრძელებაა. პარლამენტის თავმჯდომარე ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. ცოლის გულშემატკივრობა გამიგია, მაგრამ ასეთი? ასეთი გულშემატკივრობა ქალბატონი თინას მისამართით გამოიჩინოს სახ-

## გიგლა ბარამიძე: „პროკურატურამ სასწრაფოდ უნდა დაკითხოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი“

ლში, სასტუმროში, მაგრამ არა საჯაროდ.

ვუყურებ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და ხელისუფლების მიმართ რამდენიმე კითხვა გვაქვს, რომლებსაც თქვენი გაზეთიდანაც დავუსვამ.

პირველი, გვაინტერესებს, რატომ არ აგზავნის ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ნოტას უკრაინაში. რატომ არ იბარებენ მკაცრი საუბრისთვის უკრაინის ელჩს საქართველოში? უკრაინის მაღალჩინოსანი, ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს საარჩევნო ბატალიებშია ჩართული. ქართული კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ამის უფლება არა აქვს. სააკაშვილი კი უკრაინის მოქალაქეა. უკრაინის ელჩმა თავისი ქვეყნის მოქალაქის ქმედებაზე რომ პასუხი უნდა გასცეს, ამასაც დიდი ფიქრი უნდა. თავისით ვერ უნდა მიხვდეს ის გაჭირვებული ჯანელიძე და მისი დამნიშვნელი, რომ აუცილებელია ამის გაკეთება?!

ასე რომ იქცევიან, ამიტომაც არის, რომ ამ ხელისუფლებას დამნაშავეების დიდი ნაწილი გაეპარა და თან მილიონები წაიღეს. ამ ჩაჩნებმა რაღაც წაიფაფხურეს და თითქოს ძებნა გამოაცხადეს, მაგრამ მოკლე ხანში ინტერპოლმა ყველა მათგანი მოხსნა ძებნილთა სიიდან – საქართველოს ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული მათი დაკავებით და ინტერპოლს რა ენაღვლება.

მეორე კითხვა ასეთია: როდის უნდა დააყენონ სააფთიაქო ნარკომანიის პრობლემის მოგვარებას საშველი?! დაინგრა და გაუბედურდა ოჯახები. ამ პრობლემით გამწარებული ხალხი უკვე ქუჩაში გამოსვლას აპირებს.

ჩვენი მესამე კითხვა ასე მომრავლებულ სამორინეებს, ლომბარდებსა და ტოტალიზატორებს ეხება. ამ ტიპის დაწესებულებები სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სიახლოვეს არსად არ არის გახსნილი. საქართველოში კი პირიქით ხდება. გვაინტერესებს, როდის მოაშორებენ ტოტალიზატორებს, სამორინეებსა და ლომბარდებს სასწავლო დაწესებულებებს. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთმა ახალგაზრდამ მოიკლა თავი წაგებული თანხის გამო.

მეოთხე კითხვა ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას ეხება, სადაც ნამდვილ კატასტროფასთან გვაქვს ადგილი. ცნობილი გახდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 19%-ით შემცირდა. გვაინტერესებს, რას ფიქრობს ამაზე ხელისუფლება. ასევე უნდა გვითხრან, თუ როგორ აპირებენ ამ პრობლემის მოგვარებას.

ესენი არაფრის მომგვარებლები არ არიან. იმის მაგივრად, რომ თავიანთი პოლიტიკა გაეტარებინათ, მთელი 4 წელი ნაციონალური მოძრაობის მიერ შედგენილი დღის წესრიგით მუშაობენ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ნაციონალების მოპასუხედ არიან გადაქცეულნი. ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლირებადი არხები ყოველ დილას რაღაცას იტყვიან და მთელი მთავრობა ამ სისულელის გაქარწყლებაზე მუშაობს. როგორ აფუჭებთ თანამდებობებს, თქვე გაჭირვეულებო.

რამდენიმე დღის წინ წამოსწიეს წითელაშვილის ამბავი, თითქოს მან რაღაცა გადაიღო და ეს გადაღებული მასალა რუსებს გადასცა. ეს ბრალდება ხომ სულელურია, მაგრამ კიდევ უფრო სულელურად გამოიყურება, „ქართული ოცნება“ ამაზე რომ პასუხობს. ერთ და ორ კაცს რომ ელაპარაკა წითელაშვილზე, კიდევ გავიგებდი, მაგრამ მთელი საპარლამენტო უმრავლესობა ამაზე საუბრობს. ესეც არ იკმარეს და ამაზე სრული სერიოზულობით აკეთებს კომენტარს გიორგი კვირიკაშვილი. საქმე არა გაქვს, პრემიერო, გამოფხიზლდი, კაცო! ტყეში ხომ არა ხარ ნაჯახით წკეპლის მოსაჭრელად?



თუ საქმე არა გაქვს, დღის წესრიგი მაინც შეიდგინე თავისით. პროტოკოლი რომ არა გყავს, ვიცით. წითელაშვილზე საუბარს სჯობია, პროტოკოლს აუხსნა, რომ საქართველოს დროშა დაკიდონ იქ, სადაც შენ დგახარ უცხოეთში ვიზიტისას. მართალია, ამას არ ეხება, მაგრამ უცხოეთში არაერთხელ მოგვეჭრა თავი. ხელი ეწერებოდა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და ქართული კლასიკური მუსიკის ნაცვლად შალახო დაუკრეს.

***– რამდენჯერმე ახსენეთ, რომ პრემიერს ამ სისულელეზე პასუხი არ უნდა გაეცა. სისულელედ მიგაჩნიათ ის ბრალდება, რომელიც გიგი კალანდაძემ წითელაშვილის მისამართით გააჟღერა?***

– საქმეც ეგ არის, რომ ეს სისულელე გიგი კალანდაძემ გააჟღერა. პრემიერს კომენტარი იმით უნდა დაეწყო, რომ ვითომ გენერალი კალანდაძე აგვისტოს ომის დროს ბრიგადის მეთაური იყო. მან ცხინვალთან ახლოს ბრიგადა ღია ცის ქვეშ განალაგა, რომელიც მტრისთვის იოლი გასანადგურებელი გამოდგა. ამ კალანდაძემ კიდევ იქიდან თავის მძღოლს გამოასწრო. კვირიკაშვილს ამაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება, მაგრამ ეგენი ხომ არაფერში უქნია ღმერთს.

***– მოდით, რესპუბლიკელების თემას დავუბრუნდეთ. დავით უსუფაშვილის ერთმა შეფასებამ ერში დიდი ჟრიამული გამოიწვია და საინტერესოა, თქვენ, როგორც ინგლისური ფეხბურთის ქომაგი, ამას როგორ შეაფასებთ. სპიკერმა თქვა, რესპუბლიკური პარტია ლივერპულია, რომელიც სულ კარგად თამაშობსო.***

– მე უბრალო გულშემატკივარი კი არა ვარ, არამედ ვარ ლივერპულის კლუბის წევრი და ამ შეფასებით ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი. როგორც ამ გუნდის ქომაგი, მივმართავ დავით უსუფაშვილს, ლივერპულელობას რომ იჩემებთ, ჯერ ამ გუნდის ისტორია ისწავლეთ და ჩასწვდით ლივერპულის ჰიმნის You'll Never Walk Alone-ს საფუძვლებს. აქ გმირობაზე, რომანტიზმზე, გაჭირვებულის გვერდზე დგომასა და ერთგულებაზეა საუბარი. რესპუბლიკურმა პარტიამ ყველა სხვა გუნდობა შეიძლება დაიბრალოს, მაგრამ არა – ლივერპული.

რადგან საფეხბურთო ენით დაიწყეს საუბარი, ეტყობა, კარგად ესმით ეს ენა და ამავე ენაზე გავაკეთებ ერთ შეფასებას. პოლიტიკურ ვაჭრობაში ჩემპიონთა ლიგა რომ ტარდებოდეს, რესპუბლიკელები რეალსა და ბარსელონასაც აჯობებდნენ. ამ პარტიისთვის საერთოდ უცხო ცნებაა ერთგულება და დაუშვებელია, მათ ლივერპულს შეადარონ თავი.

***– ფეხბურთიდან ისევ პოლიტიკაში დავბრუნდეთ. თქვენ თქვით, არ არის გამორიცხული, სხვა მინისტრებმაც გააყოლეს ხელს რაღაც დოკუმენტებიო. არჩევნების წინ რაიმე სკანდალი ხომ არ გველოდება?***

– ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ქვეყანაში სრული ქაოსია. ახლა მთავარია, არჩევნებამდე როგორმე მივიტანოთ სული და პროცესები კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გამოვიდეს. არჩევნების მერე კი ყველაფერი შეიცვლება.

# ეკა ბესელია: „ნაცმოძრაობას საკონსტიტუციო რევოლუციის გეგმა ჰქონდა“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოში ძალიან შემაშფოთებელი ვითარებაა.

მისი თქმით, სასამართლოს ნდობისა და მიუკერძოებლობის აღდგენა მანამ არ მოხდება, სანამ გამოძიება არ დაადგენს, თუ ვინ ახორციელებს იმ უკანონო ფაქტებს, რომლებსაც საკონსტიტუციო უწყებაში აქვს ადგილი.

– საკონსტიტუციო სასამართლოში არის უკიდურესად მძიმე და შემაშფოთებელი ვითარება და, ვიდრე არ მოხდება სწრაფი გამოძიებით დადგენილი, ვინ არღვევდა კანონებს საკონსტიტუციო სასამართლოში და ვინ ახორციელებდა უკანონობის ფაქტებს, რომლებსაც ჰქონდა ადგილი, იქამდე სასამართლოს ნდობისა და მიუკერძოებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნება. ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილი ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საკონსტიტუციო რევოლუციის გეგმას. წინასწარი შეთანხმება არსებობდა, როგორც ჩანს, სარჩელის შემომტან მხარესა და საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეულ მოსამართლესა თუ ცალკეულ მოსამართლეებს შორის, რომ შეცვლილი დამატებული სარჩელის მოთხოვნით, დამატებული გასაჩივრებული მუხლების მითითებით, მომხდარიყო სწორედ იმ ნორმების გაუქმება, რომლებიც მიზნად ისახავს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის სასურველი შედეგის დადგომას, – განაცხადა ბესელიამ.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გია მეფარიშვილი: „პაპუაშვილის განცხადება პოლიტიკური დუღილის აწევისთვის იყო გაკეთებული და არ დასაბუთდა“



**საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე გია მეფარიშვილი ბოლო დროს სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ტემპერატურის აწევას უკავშირებს და საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას დაუშვებლად მიიჩნევს.**

როგორც „კვირასთან“ საუბრისას მეფარიშვილმა აღნიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ პროცესებში არ უნდა ჩაერიოს, რადგან, მისივე თქმით, იგი ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურაა.

ამასთან, მეფარიშვილმა სასამართლოს ირგვლივ განვითარებული პროცესები არანორმალურ მოვლენად შეაფასა და გამოთქვა ეჭვი, რომ ამგვარმა პროცესებმა შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი დააკნინოს.

„საკონსტიტუციო სასამართლო ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელსაც სერიოზულად უნდა გაფრთხილება. პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა იყოს ყველა, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, ასევე იქ მომუშავე ყველა პიროვნება, როდესაც საუბარი სასამართლოს სამართლებრივ სტატუსზე მიდის. ვფიქრობ, რომ აქ მაინც იძალა პოლიტიკურმა მომენტმა. დარწმუნებული ვარ, ეს პოლიტიკური დუღილის აწევისთვის გაკეთებული განცხადებები იყო, რომელიც აბსოლუტურად არ დასაბუთდა და ასეც იყო მოსალოდნელი. დასაწყისშივე იყო ეს იდეა განწირული, თუმცა ვნახოთ, რა ჩვენებებს მისცემს თავმჯდომარე. ალბათ, მას გარკვეული ინფორმაცია გააჩნია, არ მინდა გავუსწრო მოვლენებს.

უკვე გამოქვეყნდა პროკურატურის შუალედური დასკვნა, რომლის თანახმადაც, უნდა გადაწყვეტილიყო, ჰქონდა თუ არა მოსამართლეების მიმართ რაიმე ზეწოლას ადგილი.

9 წევრიდან 8 მოსამართლემ განაცხადა, რომ არავითარ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. დარჩა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც უახლოეს დღეებში მისცემს, ალბათ, ჩვენებას. მე თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი, სამწელიწად-ნახევარი ვხელმძღვანელობდი მეორე კოლეგიას, ვიყავი თავმჯდომარის მოადგილე და სულ ერთი არაა ჩემთვის იქ განვითარებული მოვლენები. უნდა გითხრათ, რომ სასამართლოს ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არანორმალური მოვლენაა და უნდა ვთქვა საყვედური იმ პოლიტიკოსების მიმართ, ვინც გადაწყვიტა სასამართლოს პოლიტიკურ თამაშებში ჩარევა, რომელიც ძალიან საშიშია და შეიძლება ძვირად დაუჯდეს საზოგადოებას. მან შეიძლება დაკარგოს სტატუსი. სხვათა შორის, მაღალი სტატუსი მას არასოდეს ჰქონდა, ბოლო ხანებში განსაკუთრებით. შესაძლოა, საერთოდ მისი დაკნინება და გაუბედურება მოხდეს, რაც წარმოუდგენელია.

როდესაც ასეთი სერიოზული სტრუქტურის წარმომადგენლები აკეთებენ ასეთი სერიოზული ხასიათის განცხადებას, მათ უნდა ჰქონდეთ გათავისებული, რა შეიძლება მოჰყვეს ამ განცხადებას. პოლიტიკური სიმულაციები მეტი იყო, ვიდრე სამართლებრივი.

აქ საუბარია რამდენიმე სარჩელის დაჩქარებულ ვადებში განხილვაზე. კითხვებს, რომლებიც დაისვა მოსამართლეების მხრიდან, ლოგიკური დასაბუთება აქვს. რა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, როდესაც ესა თუ ის სარჩელი, სადაც რატომღაც მეორე მხარედ ნაციონალური მოძრაობა ფიგურირებდა, იყო დაჩქარებული. კითხვებს პასუხის გაცემა უნდა და ეს კითხვები თავად მოსამართლეებმა დასვეს. თავმჯდომარემ კეთილი უნდა ინებოს, გასცეს ლოგიკური პასუხი კითხვებს და თქვას, რა იყო ძირითადი მიზეზი სარჩელების დაჩქარებულად განხილვის და რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ისე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დანარჩენმა წევრებმა არ იცოდნენ ამის შესახებ. როგორც შევიტყვე, თავმჯდომარემ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და ეს დამაფიქრებელია.

წინასაარჩევნო კამპანია მიდის და სწორედ საარჩევნო კამპანიამ უნდა ასწიოს პოლიტიკური ტემპერატურა. ვის ინტერესებშია ეს, თვითონ მკითხველი მიხვდება. საკონსტიტუციო სასამართლოს გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის დაუშვებელია. სასამართლო არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში. ეს არ არის მისი საქმე.

სასამართლოს აქვს ძალიან ფართო და მნიშვნელოვანი მისია. პირდაპირ გეუბნებით, ძალიან შეშფოთებული ვარ, ასე რატომ განვითარდა მოვლენები“, – განაცხადა გია მეფარიშვილმა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები პოლიტიკურად მართული პროცესია.

როგორც ყოფილი მოსამართლე ირწმუნება, საკონსტიტუციო სასამართლოში მისი მოღვაწეობის პერიოდში მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებს ადგილი არასოდეს ჰქონია. „ჩვენთან ასეთი რამის გაკეთება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. არ მახსოვს შემთხვევაც კი, მიუხედავად იმისა, რომ იყო აზრთა სხვადასხვაობა, იძაბებოდა სიტუაცია, გადადიოდა არაჯანსაღ დამოკიდებულებაში, მაგრამ ყველა ვფიქრობდით, რომ სასამართლო არ გაგვეწირა და გამოგვეყვანა მდგომარეობიდან, მით უმეტეს, როდესაც მძიმე საქმეები შემოდიოდა. ინგრეოდა, რომ იტყვიან, ქვეყანა“, – აღნიშნა მეფარიშვილმა.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავაზეც და იგი ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ მოსამართლედ დაასახელა.

– მერაბ ტურავა ჩემი ყოფილი სტუდენტია. ის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მოსამართლეა, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რასაც მაგას ლანძღავენ და თათხავენ, ვაჟკაცურად უნდა აიტანოს ეს ყველაფერი. მისი ბედია.

თმენის ვალდებულება ეკისრება, ვერ გაექცევა ამას. მის კომპეტენციასა და მორალურ მხარეზე ისეთი ხალხი ლაპარაკობს, უბრალოდ, სირცხვილია. ძალიან კარგად ვიცნობ, ამიტომ მის კომპეტენციაში არასდროს შემპარვია ეჭვი და შემიძლია ვთქვა, ის არის საკმაოდ კომპეტენტური და მომზადებული პიროვნება, ნდობას იმსახურებდა ყოველთვის და იმსახურებს ახლაც. მოსამართლის ბედია, რომ აიტანოს კრიტიკული მოსაზრება, – დასძინა გია მეფარიშვილმა „კვირასთან“ საუბრისას.

# პარტიები ისევ ახალ სარეკლამო წესებს აპროტესტებენ

## მოსალოდნელია ახალი საარჩევნო ბლოკების შექმნა

მარიამ მჭედლიშვილი

**არჩევნების მოახლოება პოლიტიკურ სუბიექტებს საგანგებო რეჟიმში ამყოფებს. ბოლო დროს ოპოზიციური პარტიები იმდენ რამეს აპროტესტებენ, რომ, წესით, ამომრჩევლებთან შესახვედრად ნაკლები დრო უნდა დარჩეთ.**

**პარტიების აღშფოთება გამოიწვია ახალმა ნორმამ, რომლის მიხედვით, სარეკლამო საარჩევნო საფასურის გადახდა წინასწარ უნდა მოხდეს. ექნება თუ არა შედეგი ამ წესის გასაჩივრებას, უცნობია.**

ბოლო დროს პოლიტიკოსების ნაწილმა ზეწოლაზეც გააკეთა განცხადებები. მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ უშიშროება მათი წევრებისა თუ მომხრეების დაშინება-გადაბირებას ახდენს.

ეს განცხადება დაემთხვა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ ზეწოლის განცხადებებს.

სხვა პარტიები აღიარებენ, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესებულია იმ კუთხით, რომ აღარ ხდება ტერორი არც პარტიებზე და არც – მოსახლეობაზე.

წლევანდელი არჩევნებისათვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ახალ სახეებზე. ბევრი საუბარია პოლიტიკური კლასის შეცვლაზე.

„ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა 15 ახალი ადამიანი, რომლებიც შეყვანილი იქნებიან საარჩევნო სიაში. საზოგადოების ნაწილმა ამ განახლებაში პროგრესი დაინახა, ნაწილმა კი ვერ გაიგო, რისთვისაა საჭირო პარლამენტში აქამდე პოლიტიკიდან შორს მყოფი ადამიანების მოყვანა.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენამ კი დიდი დაბნეულობა გამოიწვია. მათ შორის არც ისე ცოტაა ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული პირი. ხობის უცვლელი მაჟორიტარი გოდერძი ბუკია მხოლოდ ყოფილი ნაციონალი არ არის. იგი თითქმის არასდროს მისულა მიკროფონთან. მას მონაწილეობა არ მიუღია კანონშემოქმედებაში. ამის გამო მისმა დასახელებამ „ოცნების“ კანდიდატად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში უკმაყოფილება გამოიწვია.

ჯერჯერობით სუბიექტები არ ჩქარობენ ბლოკებში გაერთიანებას. ამ ეტაპზე შექმნილია ბლოკი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გარშემო. მასში, ძალოვანი ვეტერანების გარდა,



შევიდნენ კაკო ასათიანი, კახა კუკავა, კოკო გამსახურდია და გოჩა ჯოჯუა თავიანთი ორგანიზაციებით.

ამასთან, გაურკვეველია გოჩა ჯოჯუას ახალი ქრისტიან-დემოკრატების ბედი, ვინაიდან სასამართლო დავა ნინო ბურჯანაძესთან ბოლომდე დასრულებული არაა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბლოკი უნდა შექმნან ჯაფარიძის „გირჩმა“, ვაშაძის ახალმა საქართველომ, კაციტაძის ახალმა მემარჯვენეებმა და დავითაიას ევროპელმა დემოკრატებმა.

მოსალოდნელია სხვა წინასაარჩევნო გაერთიანებების შექმნაც.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება უკვე მიეცა სხვადასხვა მიმართულების ბევრ პარტიას. მათ შორის რამდენიმე კომუნისტური და სოციალისტური განხრისაა.

მაგალითად, თემურ ფიფიას საქართველოს ერთიანი კომპარტია; ივანე წიკლაურის საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელები; ვალერი კვარაცხელიას კვარაცხელია-სოციალისტები; თამაზ ჯაფოშვილის მშრომელთა სოციალისტური პარტია.

არჩევნებში მონაწილეობენ ყოფილი მაღალჩინოსნებიც, მაგალითად, დავით თევზაძე, რომლის პარტიაა დავით თევზაძე-საქართველოს მშვიდობისათვის და შაშიაშვილი, რომლის პარტიას ამჯერად ქართული ერთობა დაერქვა.

მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, ითვლება, რომ არსებობს მრავალპარტიული პარლამენტის მიღების შესაძლებლობა. ამისათვის მთავარია ამომრჩევლის აქტიურობა.

# კახა ოქრიაშვილი კვლავ მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს

შორენა მარსაგიშვილი

**„ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს 3 აგვისტოს მძიმე დღე ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ მათ ერთმანეთი დაგმეს, ამომრჩეველს მაჟორიტარობის კანდიდატებიც წარუდგინეს. ყოფილმა ხელისუფლებამ ასარჩევები ქუთაისელებს წარუდგინა, მოქმედმა კი – ქვემო ქართლს.**

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქუთაისის მაჟორიტარობისთვის აკაკი ბობოხიძე, გია თევდორაძე და გიგი წერეთელი იბრძოლებენ. მაჟორიტარობის კანდიდატები ქუთაისელებს დავით ბაქრაძემ წარუდგინა.

ბაქრაძემ წარდგენისას ყურადღება ქუთაისელებისთვის შედარებით უცხო კაცზე, გიგი წერეთელზე გაამახვილა. მისი თქმით, წერეთელი ძალიან უყვართ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

– გიგი წერეთელს აქვს ძალიან



დიდი პოლიტიკური ავტორიტეტი, ასევე უზარმაზარი სიყვარული როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ვნახეთ, ერთი თვის წინ რამხელა ბრძოლა იყო. სრულიად მთავრობა და „ქართული ოცნება“ დაირაზმნენ, რომ როგორმე გიგი წერეთელი არ გამხდარიყო ეუთოს პრეზიდენტი. გიგი წერეთელი ჩვენთვის ქუთაისის მაჟორიტარიც იქნება, ეუთოს პრეზიდენტიც და ის კაციც, რომელიც ამ ქალაქს მიხედავს.

თუ გია თევდორაძის ამოცანაა, ქუთაისი, როგორც ქალაქი, ფეხზე დააყენოს, თუ კაკო ბობოხიძის ამოცანაა, რომ ქუთაისი საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად აქციოს, გიგი წერეთელის ამოცანაა, ქუთაისი ვანკუვერიდან



ვლადივოსტოკამდე, ეუთო სადამდეც არის, იმ მასშტაბის პოლიტიკური ცენტრი გახადოს, – განაცხადა ბაქრაძემ.

ახალი სახეებით ამომრჩეველი არც „ქართულ ოცნებას“ გაუნებივრებია. რეგიონის მაჟორიტარები ქვემო ქართლის მოსახლეობას პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარუდგინა.

რუსთავის 29-ე ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პაატა მხეიძე იქნება.

– იგი დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ქალაქ რუსთავში. ამჟამად გახლავთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ბატონი პაატა დიდი გამოცდილების მქონე ადამიანია, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

რუსთავის 30-ე ოლქში წარდგენილ გიორგი ბრეგაძეს მთავრობის მეთაური ასე ახასიათებს:

– ის ეკონომიკის მაგისტრი გახლავთ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრის დირექტორი. დარწმუნებული ვარ, პარლამენტს მისი სახით კვალიფიციური ეკონომისტი შეემატება.

მაჟორიტარობის ტვირთს ვერ ასცდა ყოფილი ნაციონალი და 4 წლის „ოცნებაში“ გადავარდნილი კახა ოქრიაშვილი. 12-წლიანი დეპუტატობის სტაჟის მქონე ოქრიაშვილს დმანისთან ერთად ახლა წალკაშიც მოუწევს ბრძოლა.

ბოლნისის მაჟორიტარ კანდიდატად ბოლნისის მოქმედი გამგებელი გოგა მეშველიანი დაასახელეს.

პრემიერმა გარდაბანში მაჟორიტარ კანდიდატად სავალან მირზოევი დაასახელა.

– იგი სამართალმცოდნე გახლავთ. ბატონი სავალანი გარდაბნის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი იყო ქვემო ქართლში, ახლა კი პრემიერ-მინისტრის თანაშემწეა ეროვნული უმცირესობების საკითხებში. ბატონი სავალანის საქართველოს პარლამენტში საქმიანობა სასარგებლო იქნება არა მარტო გარდაბნელებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თეთრიწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატად გოდერძი ჩანქსელიანი დასახელდა. როგორც პრემიერი ამბობს, ჩანქსელიანი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს განყოფილების უფროსი იყო.

მარნეულის 35-ე ოლქში მაჟორიტარად რაიონის განათლების რესურსცენტრის უფროსი რუსლან გაჯიევი წარადგინეს, მარნეულის 36-ე ოლქში კი მათი კანდიდატი რაიონის სპორტსკოლის დირექტორი თამაზ ნავერიანი იქნება.

# საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ ტირიან!

**ბატონო პრემიერო, ბატონო ეკონომიკის მინისტრო, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ!**





## ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს!

2016 წლის 5 აგვისტოს, 10:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა ფარქოსაძე კიდევ ერთ ცნობილ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე გადაწყვეტილებას გამოაცხადებს! დავის საგანია 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისთვის სხვისი ქონება მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად გიორგი პაპუაშვილს გადასცა. აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნაა გიორგი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად აღიარება. საქმეში არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, რომლითაც აღნიშნულია, რომ გიორგი პაპუაშვილმა იცოდა ქონების სადავოობის თაობაზე. შესაბამისად, უარი არ თქვა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადასვლაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ როლანდ ბლადაძის სარჩელი არ ცნო, მხარი არ დაუჭირა მიხეილ სააკაშვილის მოწმის სახით დაკითხვას, დაუსაბუთებლად გაამართლა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს სამინისტროს პირველი პირების მოქმედებები. სახელმწიფომ ვერ შეძლო ალტერნატიული ფართის შეთავაზება გიორგი პაპუაშვილისთვის, ხოლო გიორგი პაპუაშვილს, საკონსტიტუციო სასამართლოს რეპუტაციიდან გამომდინარე, არ ჰყოფნის სათანადო სიმტკიცე, რომ სადავო ქონება დაუბრუნოს სახელმწიფოს. ჩვენ, საზოგადოება, სამართლიანობის აღდგენის პროცესში აღნიშნულ საქმეზე ვიმკით საწინააღმდეგო შედეგებს. სასამართლო ხელისუფლების მიმართ მიმდინარეობს ტოტალური ზეწოლა, რაც არ გვიტოვებს კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას! ჩვენ, როლანდ ბლადაძის უფლებების დამცველი ორგანიზაცია, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საზოგადოებამ სრულად იცოდეს საქმესთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება. ჩვენ მივმართავთ სასამართლოს, რომ შეძლოს პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება! მივმართავთ მოსამართლეებს – მთავრობები მიდიან და მოდიან, მანტია რჩება! დავდგეთ როლანდ ბლადაძის ღირსების და უფლებების დასაცავად, ვისაც ქვეყანაში უკეთესობა და სამართლიანობა გვინდა!

® ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

გამოხმაურება

# 2016 წლის 15 ივლისი: თურქეთის დემოკრატიის ნათელი დილა შავბნელი ღამის შემდეგ

15 ივლისის ღამეს ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი შეტევა განხორციელდა თურქეთის დემოკრატიულ სისტემაზე, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. შეიძლება ითქვას, რომ უფსკრულის პირას მისული სიტუაცია სასიკეთოდ შემობრუნდა. თურქეთის შეიარაღებულ ძალებში ფესვგადგმულმა მცირე ჯგუფმა, რომელიც ფარულ კავშირში იყო ტერორისტულ ორგანიზაციასთან და არ ემორჩილებოდა ცენტრალურ სამეთაურო ხელმძღვანელობას, მიზნად დაისახა, ძალის გამოყენებით დაემხო დემოკრატიულად არჩეული მთავრობა და ამგვარად ხელში ჩაეგდო სახელმწიფოს მმართველობა.

ეს იყო ხელისუფლების დამხობის მცდელობა, რომელიც მთავრობის, პარლამენტის, მედიის, უსაფრთხოების ძალების, ყველა ასაკისა და შეხედულების ადამიანის ანუ ერთ მუშტად შეკრული თურქი ხალხის გულანთებული და შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად იქნა თავიდან აცილებული. წარმატების შემთხვევაში კი სამხედრო გადატრიალებას შესაძლოა მოჰყოლოდა ფრიად უარყოფითი შედეგები არა მხოლოდ თურქეთისათვის, არამედ მთელი რეგიონისა და მსოფლიოსათვის. ამგვარად, ნამდვილი კოშმარივით დაწყებული ღამის შემდეგ თურქეთის დემოკრატიის გამარჯვების ნათელი დილა გათენდა.

თურქი ხალხის მიერ პუტჩისტებთან დაპირისპირებაში გამოჩენილი სიმტკიცე და მათი წარმატება საქართველოში ძალიან კარგად იქნა აღქმული და დაფასებული.

მიუხედავად ამისა, 15 ივლისის ღამესთან და შემდგომ პროცესებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დასავლეთის პრესაში, ქვეყნდება ტენდენციური ინფორმაციები და კომენტარები, რის გამოც, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება, პასუხი გაეცეს ყველა შეკითხვას, რომლებიც შესაძლოა გაჩნდეს.

აქედან გამომდინარე, მათ, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლების დამხობის მცდელობა იყო დადგმული წინასწარ დაწერილი სცენარით, ვურჩევდი, კიდევ ერთხელ წაეკითხათ დაკავებული პუტჩისტების ჩვენებები, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ გადატრიალება თავიდან ბოლომდე იყო დეტალურად დაგეგმილი, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა, ვინაიდან სადაზვერვო და სამხედრო უწყებებმა წინასწარ შეიტყვეს მოსალოდნელი მოვლენების შესახებ, რამაც აიძულა



მეორე მხარე, საკუთარი ძალების სრული მობილიზების გარეშე, დროზე ადრე დაეწყო მოქმედება.

პრესაში ასევე გამოითქმის ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად იდგა თუ არა გადატრიალების მცდელობის უკან ფეთულაჰ გულენის ტერორისტული ორგანიზაცია („ფეტო“). ამ ჭეშმარიტების ყველაზე ნათელი დადასტურებაა ჩვენი გენშტაბის უფროსის ჩვენება, სადაც იგი აღწერს 15 ივლისის ღამის მოვლენებს. იგი აღნიშნავს, რომ როდესაც ის დააპატიმრეს პუტჩისტებმა, ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის ქვეშ მოითხოვდნენ მისგან მათ მხარეს გადასვლას, მაგრამ, იმის გამო, რომ გენშტაბის უფროსი არ დათანხმდა მუხანათურ შეთქმულებაში მონაწილეობას, ერთ-ერთმა ოფიცერმა მოსთხოვა მას, გასაუბრებოდა ტელეფონით მათ „იდეურ წინამძღოლს“ ფეთულაჰ გულენს. არსებობს კი ამაზე უფრო ნათელი მტკიცებულება იმისა, რომ გადატრიალების მცდელობის უკან იდგა „ფეტო“?

ეს შეკითხვა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ორგანიზაცია და მისი ლიდერი წლების განმავლობაში საკუთარ თავს მშვიდობისმოყვარე კონფესიურ თემად წარმოაჩენდა, რითაც, სამწუხაროდ, შეძლო როგორც თურქეთში, ასევე სხვა ქვეყნებში საზოგადოებისა და ოფიციალური წრეების შეცდომაში შეყვანა. ამჟამად ნათლად გამოჩნდა, რომ ეს ორგანიზაცია ოსტატურად იფარებდა კონფესიური თემის ნიღაბს და თავიდანვე მათი მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო უწყებებში ჩუმად ინტეგრირება და სათანადო დროის შერჩევა იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდო სახელმწიფო მმართველობა. ამ თვალსაზრისით, „ფეტო“ ერთ-ერთი ყველაზე საშიშია მსოფლიოში ცნობილ ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის.

ხელისუფლების დამხობის მცდელობის გამოაშკარავების შემდეგ ტენდენციური მედიისა და ანალიტიკოსების მხრიდან დაიწყო ჩვენი მთავრობის მიერ პუტჩისტების გასამართლების მიზნით მიღებული ზომების კრიტიკა. აგრეთვე, გამოითქვა ბრალდებები, თითქოს ამ პროცესმა შეიძინა არადემოკრატიული კამპანიის სახე და ეს იყო რეპრესია თურქეთის ოპოზიციის წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, ამგვარი პოზიცია შეურაცხმყოფელია თურქი ხალხისა და იმ 200 ადამიანისათვის, რომლებიც დემოკრატიის დასაცავად შეუპოვარ ბრძოლას შეეწირნენ, რაც ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში. დღეს თურქეთში ხალხის მიერ მხარდაჭერილი დემოკრატია უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე და მას შესწევს ძალა, რომ მომავალში გააუვნებელყოს მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი საფრთხე.

მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გადატრიალებაში მონაწილე პირების მთელი სიმკაცრით გასამართლების საკითხთან მიმართებით სრული თანხმობაა პარლამენტში წარმოდგენილ ყველა პარტიას, საზოგადოებასა და სრულიად პოლიტიკურ სპექტრს შორის. ამის ნათელი დადასტურებაა თურქეთის პრეზიდენტისა და პრემიერის სისტემატური შეხვედრები ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან, ქვეყნის პარლამენტში მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებები და გავრცელებული ინფორმაცია.

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თანხმობასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი – ის, რომ გადატრიალების მცდელობიდან დღემდე მიღებული ზომები სრულიად შეესატყვისება სამართლისა და კანონის მოთხოვნებს ანუ თურქეთის გადაწყვეტილება, რომ დაისაჯოს გადატრიალებაში მონაწილე ყველა პირი და მათი მხარდამჭერი, არა ნაკარნახევი შურისძიების გრძნობით, არამედ მოტივირებულია სამართლის აღსრულების პრინციპით. აღნიშნულის ფარგლებში, გამოცხადებული სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა არის მსგავსი შემთხვევებისათვის ჩვენი კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიზანია არა მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა, არამედ მათი უფრო ეფექტური დაცვა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ზომები შედარებით უფრო მცირე საფრთხეების დროსაც კი შემოღებული იყო საფრანგეთსა და ბელგიაში. საგანგებო მდგომარეობის ერთადერთი მიზანი სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო უწყებების ეფექტური მუშაობაა.

როგორც ცნობილია, დროდადრო საერთაშორისო საზოგადოებას კითხვის ნიშნები უჩნდება დაკავებულ და სახელმწიფო სამსახურებიდან დათხოვნილ პირთა რაოდენობასთან დაკავშირებით და ასევე იმის გამო, რომ ამ პირებს შორის არიან ჟურნალისტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის აღსრულების კრიტერიუმს წარმოადგენს არა რაოდენობა, არამედ იურიდიული საფუძვლები. აქ რაოდენობაზე

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ოთარ ბენიძე: „მოსამართლის პოლიტიკაში ჩართვა დაუშვებელია“

## საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტს მისხალ-მისხალ ვაკოწიწებდით

გულიკო ბალაძე



შექმნილი ვითარების გამო არის თუ არა მოსალოდნელი, საკონსტიტუციო სასამართლო გახდეს ქმედებაუუნარო? საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ოთარ ბენიძე „ახალ თაობასთან“ ამ ინსტიტუციაში შექმნილ ვითარებას აფასებს.

***– ბატონო ოთარ, როგორ აფასებთ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს?***

– საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს თავისი მიზეზები აქვს. ნებისმიერი სარჩელი, რომელსაც სასამართლო იხილავს, პოლიტიკის ამა თუ იმ დარგთანაა დაკავშირებული. ეს აქსიომაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ჩაერთონ ყოველდღიურ პოლიტიკაში.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლეები ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩართული არიან?***

– სამწუხაროდ, ზოგიერთმა მოსამართლემ ვერ გაუძლო და ჩაერთო ყოველდღიურ ოპერატიულ პოლიტიკაში. პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ, ჩვენ დროსაც იყო მცდელობა, ხელისუფლება სანქციებსაც გვიწესებდა, 2-3 თვეს ხელფასებს არ გვაძლევდა, მაგრამ ყველაფერს ვუძლებდით. საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტს მისხალ-მისხალ ვაკოწიწებდით.

***– კონკრეტულად რომელმა მოსამართლემ ვერ გაუძლო და ჩაერთო ყოველდღიურ პოლიტიკაში?***

– არავითარ შემთხვევაში არ დავასახელებ, თუმცა, ჩანს. ზოგიერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ფორსირებულად ხდება ზოგიერთი სარჩელის განხილვა, ნაწილმა თავი შეიკავა. მკითხველმა განსაჯოს.

***– მოსამართლეების ნაწილს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ჰქონდა შეხვედრა. ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ თავმჯდომარემ ამის შესახებ იცოდა, მაგრამ სხდომა არ გადაიდო.***

– სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს შორის დაპირისპირება მოხდა, მაგრამ, როდესაც სხდომაა ჩანიშნული, დიპლომატიურ კორპუსთან არის შეხვედრა თუ სხვასთან, სხდომაზე უნდა გამოცხადდე, გამოთქვა შენი განსხვავებული აზრი, რაც გადაწყვეტილებაზე თავისთავად მოახდენს გავლენას. სხდომაზე არგამოცხადება არანაირად გამართლებული არ არის.

განსხვავებული აზრი სასამართლოში არაერთხელ წარმიდგენია, მაგრამ სხდომაზე არდასწრება არც მიფიქრია, მიღებული გადაწყვეტილების გამო შინაგანი პროტესტის მიუხედავად. შესული სარჩელები ფორსირებულად არ უნდა განიხილებოდეს. სარჩელი პიროვნებას შემოაქვს, მაგრამ მილიონობით ადამიანს ეხება. ამიტომ ესა თუ ის საკითხი ფორსირებულად განსახილველი არ არის.

***– რით გამოჩნდა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩაერთო?***

– ეს ზუსტად გამოიხატა იმით, რომ სარჩელები ფორსირებული წესით განიხილებოდა.

***– ზოგიერთმა მოსამართლემ პროტესტი სწორედ სარჩელების ფორსირებული წესით განხილვაზე გამოთქვა.***

– საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით, ვადები გათვალისწინებულია და საკითხები იმ ვადების შესაბამისად უნდა განიხილებოდეს. სამწუხაროდ, ერთხელ დარღვევას დარღვევების ჯაჭვი მოჰყვება და სავალალო შედეგს ვიღებთ.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ვერ გაუძლო ზეწოლას? მისი განცხადებები ამას ნიშნავდა?***

– ყოფილი ხელისუფლებიდან პაპუაშვილთან მეგობრულ, ახლო ურთიერთობაში ვინც უნდა ყოფილიყო, მას გავლენა არ უნდა მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. განა ჩვენ არ გვქონდა ურთიერთობა, კავშირი პოლიტიკოსებთან, მაგრამ მათთან მეგობრული, ახლო ურთიერთობა გავლენას არ ახდენდა ჩვენს გადაწყვეტილებებზე.

***– ხელისუფლებისთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს არ იღებდით?***

– ყველა სარჩელი, რომლებიც შემოდის საკონსტიტუციო სასამართლოში, ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული, ან პარლამენტის მიერ მიღებული კანონია, ან პრეზიდენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი და ა.შ. ძირითად შემთხვევაში, როდესაც სარჩელი კმაყოფილდებოდა, მოსაწონი არ იყო ხელისუფლებისთვის.

***– შევარდნაძე არ გსაყვედურობდათ?***

– ჩვენ გავაუქმეთ მოქალაქეთა კავშირის მიერ ჩატარებული არჩევნები 4 ოლქში. მოქკავშირი მაშინ მმართველი პარტია იყო. მათთვის მიუღებელი გახლდათ ჩვენი გადაწყვეტილება. სამი თვე ხელფასი არ მოგვცეს, მაგრამ ჩვენს შემდგომ გადაწყვეტილებებზე ამას გავლენა არ მოუხდენია.

***– ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, პაპუაშვილის განცხადების გამო, ფაქტობრივად, მთელი საკონსტიტუციო სასამართლო ექვმიტანილია. ამიტომ ე.წ. კაბელებისა და უგულავას საქმეში, რომელიც უფრო მეტად უკავშირდება პოლიტიკას, ის მონაწილეობას არ მიიღებს.***

– საქმის განხილვაში მონაწილეობის არმიღება გამოსავალი არ არის. განსხვავებული აზრი უნდა დააფიქსირონ კენჭისყრაში. ამ საკითხში ჩემს კოლეგებს ვერ გავამართლებ.

***– გადაწყვეტილება იმთავითვე ეჭვქვეშ დგება, რადგან არ ენდობიანო.***

– მაინც ვერ გავამართლებ. პროცესის ჩაშლა სწორი არ არის.

***– შექმნილი ვითარების გამო არის თუ არა მოსალოდნელი, საკონსტიტუციო სასამართლო გახდეს ქმედებაუუნარო?***

– ძალიან მტკივნეულ კითხვას მისვამთ. როცა საფრთხე რეალური იყო, ნულიდან ვიწყებდით ამ ინსტიტუციის შექმნას. მაშინ არ დამდგარა ეს საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედებაუუნარობა იქნება კატასტროფა. არ შეიძლება, ეს ინსტიტუცია ქმედებაუუნარო გახდეს. როგორი პოლიტიკური სიმპათიებიც არ უნდა გვქონდეს, ინსტიტუციებს უნდა გაუფრთხილდეთ.

***– ერთ-ერთ პოლიტიკოსს გაუჩნდა სურვილი, საკონსტიტუციო სასამართლოდან ზოგიერთი მოსამართლე წკეპლით გამოიყვანოს.***

– ასეთი შეფასება არ შეიძლება. ქუჩაში არ უნდა განიხილებოდეს, სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა.

***– ქუჩაში განხილვებს ვერ ავცდებით, მით უმეტეს, საკითხები პოლიტიკას გადაეჯაჭვა.***

– მთავარია, არ ჩაერიონ ყოველდღიურ პოლიტიკაში. მოსამართლე ვალდებულია, გავლენებს გაუძლოს.

***– პაპუაშვილის განცხადებებს პოლიტიკური საფუძველი ედო?***

– უნდა გაუფრთხილდე ინსტიტუტსა და იმ თანამდებობას, რომელიც გიკავია. პაპუაშვილის განცხადებებს გარკვეული პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩართვა საკონსტიტუციო სასამართლოს ვნებს.

***– პაპუაშვილის პოლიტიკურსარჩულიანმა განცხადებამ ამ ინსტიტუციას ავნო?***

– ინსტიტუციას ავნო იმ ყველაფერმა, რაც ხდება.

***– თუმცა, იმ ძალის წარმომადგენლები, რომლებთანაც პაპუაშვილია დაკავშირებული (მათ წარადგინეს ამ მაღალ თანამდებობაზე), ამბობენ, რომ, პირიქით, ხელისუფლება ებრძვის ამ ინსტიტუციას.***

– ნებისმიერ ხელისუფლებას ჰქონდა სურვილი, გავლენა მოეხდინა, მაგრამ, თუ შენ დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნება ხარ, მაშინ ყველაფერს გაუძლებ. ჩემი მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ, პირველი გადაწყვეტილებით, გაუქმდა პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

***– შევარდნაძის?***

– დიახ. ჟურნალისტებმა შევარდნაძეს ჰკითხეს, რას იტყვით იმაზე, თქვენმა დანიშნულმა მოსამართლემ თქვენი გადაწყვეტილება რომ გააუქმაო? შევარდნაძემ უპასუხა, თუ დემოკრატია გინდათ, ამ ყველაფერს უნდა გავუძლოთო.

***– სააკაშვილის პერიოდში მოგიწიათ მოსამართლეობა?***

– დიახ, სამი წელი.

***– როგორი იყო მისი რეაქციები?***

– შეიძლება, კრიტიკა იყო, მაგრამ პირდაპირი ზეწოლა არ ყოფილა. ის 10 წელი, როცა მე ვიყავი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ყველაფერი ია-ვარდებით მოფენილი არ იყო.

***– პაპუაშვილი 2 თვეში მიდის. რის მიღწევა უნდოდა, როცა პოლიტიკურსაფუძვლიან განცხადებებს აკეთებდა? თანაც, როგორც პროკურატურა აცხადებს, მოსამართლეებთან დაკავშირებით ზეწოლა არ დასტურდება.***

– არ შეიძლება, მოსამართლემ შენი მოღვაწეობა რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან კავშირიდან გამომდინარე განსაზღვრო. როდესაც ინიშნები, შენი კავშირები პარტიასთან ისტორიას უნდა ჩააბარო.

***– თუკი პიროვნებას რაღაც ისეთი აქვს ჩადენილი, რომელიც სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს ან მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია მოსამართლის მანტიისთვის, რის გამოც შეიძლება ზეწოლა მოახდინონ მასზე, ასეთი პიროვნება მოსამართლედ გამწესების ღირსია?***

– ზნეობრივი მხარე განსაკუთრებული თემაა. თუ პირის მორალურ-ზნეობრივი მხარე არ შეესაბამება მაღალზნეობრივ ნორმებს, პირი მოსამართლედ არ უნდა ინიშნებოდეს სამწუხაროდ, ამას არ ითვალისწინებენ ხოლმე. მოსამართლის დანიშვნის დროს მორალურ-ზნეობრივ მხარეს ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს.

---

**გამოხმაურება**

# 2016 წლის 15 ივლისი: თურქეთის დემოკრატიის ნათელი დილა შავბნელი ღამის შემდეგ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს, აღნიშნული პირები ნამდვილად იყვნენ თუ არა გარეული დანაშაულებრივ ქმედებებში. უნდა ითქვას, რომ ყველა სახის გამოძიება თუ მართლმსაჯულების პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ და ყველას აქვს კონსტიტუციით განსაზღვრული დაცვისა და გასაჩივრების უფლება.

ამასთან, არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს ის ბრალდება, თითქოს გამოძიების პროცესში ადგილი აქვს დაკავებული პირების ცემასა და არაადამიანურ მოპყრობას. ამ საკითხზე თურქეთის იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც არგუმენტირებულად უარყო წამების ბრალდება და აღნიშნა, რომ თურქეთი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე მხარე, ღიაა ამ მიმართულებით ყველანაირი შემოწმებისათვის. ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გაჟღერებული ამგვარი უსაფუძვლო ბრალდებების მიზანია გადატრიალების მცდელობაში მონაწილეებისა და მხარდამჭერების მიმართ შექმნილი უარყოფითი იმიჯის განეიტრალება და ესაა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.

გადატრიალების მცდელობის შემდეგ, თურქეთში მიმდინარე მოვლენების ფარგლებში, საქართველოში განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერესი კიდევ ერთი საკითხისადმი, კერძოდ, თურქეთის შეიარაღებული ძალებში პუტჩისტების წინააღმდეგ გატარებული ზომების შემდეგ თურქეთი შეასუსტებს თუ არა ტერორიზმთან და „დეაშ“-თან ბრძოლას. მინდა აღვნიშნო, რომ პირიქით, თურქეთში არავის ეპარება ეჭვი, რომ ჩვენი ჯარი, „ფეტო“-ს წევრებისგან გაწმენდის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება. რაც შეეხება, „დეაშ“-თან ბრძოლის გადაწყვეტილებას, ბოლო მოვლენებმა მასზე არანაირი გავლენა არ იქონია და კვლავაც ჩვენი მთავრობის უმნიშვნელოვანესი მიზანია, მთლიანად იყოს განეიტრალებული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თურქეთის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ამგვარად, არავის უნდა შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ თურქეთი მომავალშიც იქნება დასავლეთის მოკავშირე და პარტნიორი. ჩვენს საერთო მიზანს წარმოადგენს „დეაშ“-ისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საკითხში არ არსებობს მცირედი კითხვის ნიშანი. უფრო მეტიც, გასულ კვირას თურქეთს ეწვია აშშ-ის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს რაიმე სახის პრობლემა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით, მათ შორის ინჯირლიქის ბაზის გამოყენების საკითხში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთისა და ნატოს მოკავშირეობა და ევროკავშირთან პარტნიორობა საერთო საფრთხესა და ინტერესებზე მეტად ეფუძნება საერთო ღირებულებებს. აღნიშნულის გამო ზოგიერთი წრეების მტკიცებულება იმისს შესახებ, თითქოს თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობები ბოლო მოვლენების გამო შესაძლებელია გაფუჭდეს და თურქეთი შეიძლება დაშორდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებს, იმდენად უსაფუძვლო და არარეალურია, რომ სპეკულაციადაც კი ვერ ჩაითვლება.

თუმცა ამ თვალსაზრისით ველით, რომ უპირველესად აშშ-მ, დასავლელმა მოკავშირეებმა და ჩვენმა პარტნიორებმა უფრო მკაფიო და ნათელი პოზიცია დაიკავონ დემოკრატიის დასამარების მიზნით თურქეთში მოწყობილი გადატრიალების მცდელობის, „ფეტოს“ უცხოეთში არსებულ საგანმანათლებლო, მედია და ბიზნესკავშირების გაუვნებელყოფის, „ფეტოს“ ლიდერის (უკვე მრავალი წელია ცხოვრობს აშშ-ში) მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად უმოკლეს ვადაში თურქეთისათვის გადმოცემის საკითხებთან დაკავშირებით. ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვართ მეგობრები და მოკავშირეები, არამედ იმის გამოც, რომ იგი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და საზოგადოებრივი ღირსების საკითხს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც, ჩემი დაკვირვებით, საქართველოში აქტიურად განიხილავენ დასავლეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის კონტექსტში, ეხება იმას, თუ მოვლენების განვითარება რამდენად მოახდენს გავლენას თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე. უპირველესად, მინდა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა ემყარება ძლიერ საფუძველს, რომელიც საზრდოობს საერთო ღირებულებებითა და პრინციპებით, ამიტომ განვითარებული მოვლენების გამო არ უნდა ველოდოთ ამ საკითხში ძირეულ ცვლილებებს. მაგრამ თურქეთის მოკავშირეობა დასავლეთთან და მისი ურთიერთობები რუსეთთან არ წარმოადგენს ერთმანეთის ალტერნატივას. თურქეთი ყველა ქვეყანასთან ურთიერთობას განსაზღვრავს საკუთარი პარამეტრებით. ამასთანავე, საკუთარი და რეგიონის ინტერესების გათვალისწინებით ცდილობს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ყველა ქვეყანასთან.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ბოლოს საჰაერო სივრცის დარღვევისა და ამ მიზეზით თვითმფრინავის ჩამოგდების გამო ჩვენი ურთიერთობები კრიზისში შევიდა, ორივე მხარემ შეძლო ამ პრობლემური პერიოდის უკან მოტოვება და ურთიერთობების ნორმალიზაციის მიზნით შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა.

თუმცა ამ პროცესში თურქეთი ნამდვილად არ აპირებს, შეცვალოს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებისა და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ფარგლებში განსაზღვრული პოლიტიკა. მაგალითად, მომავალშიც მტკიცედ გავაგრძელებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ნატოსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერას. ასევე უცვლელია ჩვენი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ყირიმის ჩათვლით, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების სურვილს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში და სირიაში ხალხის დემოკრატიული მოლოდინის შესაბამისი გამოსავლის მოძებნას.

ამგვარად, თურქეთში 15 ივლისის ღამეს მომხდარმა ვერაგული გადატრიალების მცდელობამ ვერაფერი შეცვალა თურქეთში დემოკრატიისა და პრინციპული საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, იმისდა მიუხედავად, თუ რაოდენ საშიში და ემოციური წუთები განვიცადეთ და როგორ იმოქმედა თითოეულ ჩვენგანზე თანამემამულეების დაღუპვამ. პირიქით, თურქეთი დღეს ამ საკითხებში კიდევ უფრო ძლიერ და მტკიცე პოზიციაზე დგას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მცირედი გავლენა მოახდინა გადატრიალების მცდელობამ თურქეთის ეკონომიკაზე და მომავალშიც ამ მიმართულებით შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები. და ბოლოს, უსაფრთხოების თვალსაზრისით დღეს თურქეთში არ არსებობს რაიმე სახის პრობლემა და თურქეთში ტურისტად წასვლის მსურველებს არ უნდა ჰქონდეთ ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველო ჩვენი არა მარტო მეზობელი ქვეყანაა, არამედ მასთან ისტორიული მეგობრობა გვაკავშირებს და დღეს ნამდვილი გაგებით სტრატეგიული პარტნიორები ვართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, თურქეთში მიმდინარე მოვლენები კიდევ უფრო საიმედო სურათს ქმნის საქართველოსთან მომავალი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით. თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო სწრაფად განვითარების მიზნით შეიქმნა უმაღლესი რანგის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭო, რომლის პირველი შეხვედრა გაიმართა გადატრიალების მცდელობიდან რამდენიმე დღეში – 19 ივლისს და ამ მიზნით პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის მიერ ანკარაში განხორციელებული ისტორიული ვიზიტი იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სიმბოლური თვალსაზრისითაც.

**თურქეთის რესპუბლიკის**
**სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი**
**ზექი ლევენთ გუმრუქჩუ**

# სად იწყება და სად მთავრდება ჯიჰადის გზა

სოსო ზაალიშვილი

**ინტერნეტში გამოჩენილმა ვიდეოროლმა, რომელშიც ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და რუსეთს აფეთქებებითა და განადგურებით ემუქრებიან, მსოფლიო მედიისა და უსაფრთხოების ექსპერტების ყურადღება მიიპყრო.**



რუსეთის მიმართ ასეთი სახის მუქარა პირველი არაა. ჯერ კიდევ 1994-96 წლებში ჩეჩნეთის ინფორმაციის დეპარტამენტი ხშირად იყენებდა ანალოგიურ ხერხებს.

ვიცეპრემიერ მოვლადი უდუგოვის უწყების კარგად ორგანიზებული პროპაგანდისტული მანქანა გარკვეული პერიოდულობით აქვეყნებდა მუქარის შემცველ მასალებს, თუმცა იმ დროისათვის ინტერნეტტექნოლოგია არ იყო განვითარებული და ჩეჩენ პოლიტტექნოლოგებს მასალის სხვადასხვა მედიასაშუალებაში განთავსება უწევდათ.

დღეს ანალოგიურ მასალის გამოქვეყნება არ წარმოადგენს პრობლემას. რაც მთავარია, მეტად რთულია ავთენტურობის დადგენა. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულია ინტერნეტტექნოლოგიებში, ადვილად შეუძლია, ატვირთოს კლიპი.

90-იან წლებში წყაროს დადგენა არ წარმოადგენდა სირთულეს. ცნობილი იყო მედიასაშუალების კავშირი ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან. მაგალითად, ზოგიერთი დასავლური და რუსული მედიასაშუალების მიერ გამოქვეყნებული მუქარის შემცველი ინფორმაცია სანდოობით სარგებლობდა, რადგან ამ საინფორმაციო საშუალებებს ნამდვილად ჰქონდათ კავშირი უდუგოვის ინფორმაციის დეპარტამენტთან.

სხვისი ნაკლები სანდოობით გამოირჩეოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო ისლამური ჯიჰადის სხვა ფრონტზეც, ავღანეთსა თუ პაკისტანში, ლიბანსა თუ სომალიში.

ინტერნეტტექნოლოგიების განვითარებამ სპეცსამსახურებს გაურთულა მუშაობა. ინტერნეტში თითქმის ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი სააგიტაციო მასალა. საიტებზე ტერორიზმის, ძალადობისკენ მოწოდების შემცველი კლიპები ვრცელდება. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს ნამდვილ საფრთხეს. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი კლიპები ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანების შექმნილია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

შესაძლოა, სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვქონდეს საქმე ამ კლიპთან დაკავშირებითაც. მოწოდება დროში თურქეთსა და ევროკავშირს შორის არსებული ვითარების დაძაბვას დაემთხვა.

მიუხედავად ერდოღანის მისწრაფებისა, გამხდარიყო სუნიტური ისლამური სამყაროს ლიდერი, მის მორჩილებაში მყოფი ძალისმიერი სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობდნენ დასავლეთის სპეცსამსახურებთან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბრიუსელის ტერაქტში ეჭვმიტანილი თურქეთიდან დეპორტირებული იბრაჰიმ ბაკრაუის ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირების შესახებ ინფორმაცია ბელგიის სამართალდამცავებს თურქეთის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს. ბელგიელებმა უგულებელყვეს ინფორმაცია და შედეგად ევროკავშირის დედაქალაქში უსასტიკესი ტერაქტი მიიღეს.

დღეისათვის დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი თანამშრომლობა აღარაა.

დასავლეთზე განაწყენებულმა ერდოღანმა მთლიანად ჩამოშალა ნატოს თავდაცვითი სისტემა თურქეთში. პრაქტიკულად დაშლილია თავდაცვის სამინისტრო და პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო. ამ სისტემის შემადგენელი და მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაზვერვაა, რომელსაც ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ევალება.

ჯიჰადისტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის თურქეთს მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდა. ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებასი ალბათ, ნატოს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები აწარმოებდნენ, მაგრამ სირიის მიმართულებით ინფორმაციის მოპოვება სწორედ თურქეთის პრეროგატივა გახლდათ.

ასეც რომ არ იყოს, არა მგონია, დღეისათვის ერდოღანს ძალიან ადარდებდეს ევროპელების უსაფრთხოება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის ქალაქ კიოლნში მის მხარდასაჭერად გამართულ მრავალათასიან მიტინგზე გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პირდაპირი ჩართვისა და მომიტინგეებისათვის მიმართვის საშუალება არ მიეცა.

რუსეთი სირიაში ჯიჰადისტებთან ბრძოლაში თითქმის ერთი წელია ჩაბმული. როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთის მიერ დასავლეთთან გაწყვეტილი კავშირის შემდეგ ამ ორ ქვეყანას უფრო მეტი საერთო ინტერესი გაუჩნდა, ვიდრე მანამდე ჰქონდა. თუმცა ინტერესებს საერთო პრობლემებიც დაემატა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა თურქეთის ტერიტორიაზე მოჯაჰედების არსებობაა.

ერდოღანის ინტერესებში ნამდვილად აღარაა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში კარგად გაწვრთნილი ჯიჰადისტების თურქეთში ყოფნა. ამერიკული და ევროპული დახმარების, ძალისმიერი სტრუქტურების გარეშე დარჩენილი თურქეთისათვის პრეზიდენტისათვის მათთან გამკლავება პრაქტიკულად შეუსრულებელი დავალებაა. ერდოღანს ყველგან ღალატი ელანდება და ასეთი ადამიანით მანიპულირება სირთულეს არ წარმოადგენს.

პრობლემა ის არის, რომ ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ჯურის ჯიჰადისტები ცენტრალიზებულ მმართველობას არ ემორჩილებიან. ისინი, რა თქმა უნდა, ცნობენ ხალიფასა და სხვა ლიდერებს, გარკვეულ დაფინანსებას ცენტრალიზებულადაც იღებენ, მაგრამ ძირითადი დაფინანსების წყარო მაინც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების წარმომადგენლები არიან.

ეს ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგვარი ნოუჰაუა.

ასე იყო ჩეჩნეთშიც. ცნობილ საველე მეთაურებს საკუთარი წარმომადგენლები ჰყავდათ სხვადასხვა ქვეყანაში და მათი საშუალებით ხდებოდა ჯიჰადისათვის თანხების მოძიება. წარმომადგენლობები აზერბაიჯანში, ირანში, თურქეთში, საუდის არაბეთში, ემირატებში, ყატარში, პაკისტანში, ავღანეთსა თუ სხვა ისლამურ ქვეყნებში მრავლად იყო. ასეთი წარმომადგენლობა საქართველოშიც არსებობდა.

ძირითადად თანხები მოჯაჰედების ტრანსპორტირებისათვის, იარაღის, საბრძოლო მასალების, კომუნიკაციის საშუალებებისა და ომის წარმოებისათვის საჭირო საქონლის შესაძენად გამოიყოფოდა.

მაგრამ, როგორ უნდა დაუმტკიცო სპონსორს თანხის გამოყოფის აუცილებლობა?

სწორედ ამისათვის გამოიყენება ჯიჰადისტური რეკლამა ანუ ინტერნეტში ატვირთული კლიპები. პროცესი თითქმის ანალოგიურია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსების მოთხოვნისა. უბრალოდ, გრანტის თემა და მოთხოვნის ფორმაა განსხვავებული. მაძიებელმა უნდა დაამტკიცოს მოცემულ ტერიტორიაზე ჯიჰადის წარმოების აუცილებლობა, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აუცილებლად გამოინახება ბებერი ან ახალგაზრდა შეიხი, რომელსაც სხვისი ნაბრძოლით მოუნდება სამოთხეში მოხვედრა. ის აუცილებლად გამონახავს წმინდა ჯიჰადის აღსასრულებელ თანხას.

რამდენიმე ასეთ წარმომადგენელს თავადაც შევხვედრივარ ბაქოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. მათი მოთხრობილი საკმაოდ საინტერესო ისტორიებიც მომისმენია, თუ როგორ ახერხებდნენ თანხების მოძიებას.

და მაინც, რა საფრთხეს შეიცავს რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი პირის მიმართ მუქარა ჩვენი ქვეყნისათვის? პირველ რიგში, ეს ჯიჰადისტური წრეების ჩვენი რეგიონის მიმართ არაჯანმრთელი ინტერესის გაჩენის საფუძველია. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ესაზღვრება რუსეთს და, რბილად რომ ვთქვათ, მთლად კეთილმეზობლური ურთიერთობები არ გაგვაჩნია.

ფაქტია, რომ მრავალი მებრძოლი თავის დროზე ჩეჩნეთში და შემდეგ ახლო აღმოსავლეთში სწორედ საქართველოს გავლით აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ევროპაში ტერორიზმის არსებული საფრთხეების შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველო მოჯაჰედებისა და ნარკოტიკების გადაადგილებისათვის ერთგვარ დერეფანს წარმოადგენდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგი ლავრომა წლის დასაწყისში გაიხსენა პანკისის ხეობა და იქ არსებული მდგომარეობა. ამას დავუმატოთ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის ნათქვამი, რომ ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ გავლენიანი ამირი აჰმედ ჩატაევი საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და ჩვენი ქვეყნისათვის ნამდვილად არ ისახება სახარბიელო მდგომარეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის შესახებ საუბარსაც საქართველოს ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები ჯიუტად არიდებენ თავს, უკანონო ემიგრაციის პრობლემაა.

არა მგონია, რომელიმე უწყებამ დარწმუნებით გვითხრას, რომელი ქვეყნებიდან და რამდენი უკანონო ან არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტია საქართველოს ტერიტორიაზე. არ ვაკნინებ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ რატომღაც ეჭვი მეპარება, რომ საქართველოში გერმანიიდან, საფრანგეთიდან ან ევროპის, თუნდაც აზიის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოვიდეს ვინმე, რათა არალეგალურად იცხოვროს აქ.

ძირითადად არალეგალები აზიისა და აფრიკის მუსლიმური ქვეყნებიდან არიან და ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე არსებობენ საქართველოში.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ გაითვალისწინა ევროკავშირის მოთხოვნა და საზღვრის დაცვის რეფორმირება განახორციელა, ბევრი ემიგრანტი საქართველოში მწვანე ზოლიდან სრულიად უკანონოდ შემოვიდა. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც კანონიერად შემოვიდნენ საქართველოში, თუმცა ქვეყანაში დარჩენის ვადის გასვლის შემდეგ არ დატოვეს საზღვარი, რაც მათ არალეგალად აქცევს.

საქართველოში მუსლიმ არალეგალებს და არა დევნილებს ემატება რამდენიმე ათეულ ათასი თურქეთის მოქალაქე, რომლებსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა გადასცა. სადაა ახლა ეს ხალხი? რას საქმიანობს? წარმოადგენენ თუ არა ისინი საშიშროებას ეროვნული უსაფრთხოებისათვის თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, ამაზე არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ საუბრობს.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სახელმწიფოს საქართველოს ტერიტორიიდან რაიმე სახის საფრთხე დაემუქრება, არა მგონია, ჩრდილოელი მეზობელი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებების კონვენციის დაცვით გაუმკლავდეს მას.

ჯიჰადისტების მორიგი მუქარა რუსეთის ხელისუფლებას საფუძველს აძლევს, გააქტიუროს თავისი მოქმედება კავკასიის რეგიონში. მაისის ბოლოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე კავკასიის ქედზე საქართველოდან ჩეჩნეთში გადასასვლელი ბილიკები არაა ჩახერგილი. ეს კარგი დროა მოჯაჰედების ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილებისათვის. იმ დროს, როდესაც არ ვიცით მუსლიმი არალეგალების რიცხვი, გვესაზღვრება თურქეთი, რომელიც დევნილების საკუთარი ტერიტორიიდან განდევნით იმუქრება და ნამდვილადაა შესაძლებელი საქართველოდან ჩრდილო კავკასიის მიმართულებით მოჯაჰედთა გადაადგილების პროცესის აღდგენა.

# ჯაბა ბოჯგუას დედა შვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს



მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 8 წელია კომაშია და მისი მდგომარეობა არც უკეთესობისკენ იცვლება და არც უარესობისკენ. ჯაბას მგრძნობელობა ემატება, თუმცა კონტაქტური არ არის. მას არც დაჯდომა შეუძლია და მისი განძრევა სიკვდილის ტოლფასია.

ჯაბა ბოჯგუა ნაქირავებ ბინაში დედასთან და მოხუც ბებიასთან ერთად გლდანში ცხოვრობს და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ისევ პატიმარია. მომღერლის დედის, მანანა გვასალიას თქმით, ჯაბას 2 წელი ციხეში ჯდომითა და 4 წელი პირობითი მიუსაჯეს, თუმცა დაპატიმრებიდან მეოთხე თვეს ჯაბა ცუდად გახდა და კომაში ჩავარდა. მას შემდეგ ჯაბა ბოჯგუა ასეთ მდგომარეობაშია.

**მანანა გვასალია, ჯაბა ბოჯგუას დედა:**

– 8 წელია ჩემი შვილი კომაშია. ამ პერიოდის განმავლობაში მას გაუვიდა ის სასჯელი, რომელიც მიუსაჯეს. ჯაბას 2 წელი მისჯილი ჰქონდა ჯდომით და 4 წელი პირობითი. ყველანაირად გავიდა ეს დრო და ჩემი შვილი ისევ პატიმარია. ჯაბა ამ მდგომარეობაში პატიმრობის მეოთხე თვეს ჩავარდა და მას შემდეგ ასეა. ნუთუ პრეზიდენტს არ შეუძლია, შეიწყალოს ჩემი შვილი? განა რამდენი პატიმარია ჯაბასნაირ მდგომარეობაში? ნეტავ სადმე გამქცევი იყოს და რას დავეძებ. არ მინდა, ეს სასჯელი ჩემს შვილს ტვირთად ჰქონდეს. სირცხვილია, ჯაბას მდგომარეობაში მყოფი ადამიანი პატიმარი იყოს.

***– მიმართეთ პრეზიდენტს შეწყალებაზე?***

– არ მიმიმართავს, მაგრამ რად უნდა ჩემი მიმართვა? ეს თვითონ უნდა გააკეთოს. მითხრეს, განცხადება დაწერეო, მაგრამ ჯაბას ვერ ვტოვებ, არ მყავს არავინ.

***– ჯაბა როგორ არის?***

– მგრძნობელობა ემატება, მაგრამ კონტაქტში ვერ შემოდის. მადლობა ღმერთს, უარესობისკენ არ მივდივართ.

***– რას ამბობენ ექიმები?***

– ექიმების თქმით, ჩემი შვილი ამ დრომდე არც უნდა მოსულიყო. მჯერა, ღმერთის ნებით, სიკეთე მოხდება და ყველაფერი კარგად იქნება.

***– როგორ ცხოვრობთ?***

– მთავრობა მეხმარება შეძლებისდაგვარად. რასაც მაძლევენ, ვიღებ. წელიწადში ერთხელ მივდივარ წამლების ასაღებად, მეტჯერ ვერა, მერიდება.

მთავარი ჩვენი პრობლემა უბინაობაა. ჩვენ საკუთარი ჭერი არ გაგვაჩნია. ქირით ვართ და, პატრონმა რომ მითხრას, ბინა დამიცალეო, ან გაყიდვა გადაწყვიტოს, სად წავიდე? ავადმყოფით არ გვიშვებენ ქირით. აქაც იმიტომ შემოგვიშვეს, რომ მიცნობენ, ძველი მეზობლები არიან და ვეცოდებით, თან ჯაბას გადაადგილება დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული, კატასტროფის ცენტრს, მაშველებს ვიძახებ ხოლმე.

ბევრს კი არ ვითხოვ, ერთოთახიანი ბინა მინდა გლდანში, რომ ქირა არ ვიხადო და ჩემს შვილთან და მოხუც დედასთან ერთად ვიცხოვრო. დოლარი რომ გაძვირდა, ჯაბას პენსიისა და მოხუცი დედის პენსიის დამატება მიწევს, რომ ქირა დავფარო. ჩვენ რაღა გვრჩება? არსებობა ხომ გვინდა? ჯაბა სხვანაირი ავადმყოფია, აპარატი, სპეციალური წამლები სჭირდება. რამე რომ მოუვიდეს, რა ვქნა?

არ ვარ ის ქალი, რომ ავტეხო წივილი და კივილი. წამლები ვითხოვე და ბინა, რომელიც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუ ჩვენი ბინის საკითხი არ მოგვარდება და, ღმერთმა არ ქნას, ასე მოხდეს, ერთ დღესაც ქუჩაში თუ დავრჩებით, მივალ საკაცით მერიაში ან პრეზიდენტის რეზიდენციაში, ან გავუშვებ გაზს და სამივენი ერთად დავიხოცებით.

4 წლის განმავლობაში სახლში მოდიოდ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რუსეთის არმია სირიაში: დანაკარგები იზრდება!



სირიელმა პარტიზანებმა იდლიბთან რუსული ვერტმფრენი ჩამოაგდეს. დაიღუპა ბორტზე მყოფი ყველა სამხედრო. ამან ერთგვარად გააბათილა ის საზეიმო რიტორიკა, რითაც რუსული პროპაგანდა თავის მოქალაქეებს კვებავდა.

– დღეს უკვე ცხადია, რომ ომი სირიაში ხანგრძლივ სახეს იღებს. ჩვენი დანაკარგებიც იზრდება, – აცხადებს „იაბლოკოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგეი მიტროხინი.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, პუტინისეული გეგმა არ გამართლდა. რუსეთის პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ სირიაში სწრაფ და იოლ გამარჯვებას მიაღწევდა.

რაქქას რუსეთის არმია აიღებდა, ამის შემდეგ მადლიერი დასავლეთი რუსეთის მიმართ დათმობებზე წავიდოდა. ეს შეეხება როგორც თავად სირიას (სადაც ხელისუფლებაში ბაშარ ასადი დარჩებოდა), ასევე უკრაინასაც.

– დასავლეთი, დარწმუნდება რა, რომ მხოლოდ რუსეთია ტერორიზმის წინააღმდეგ რეალურად მებრძოლი ძალა, მხარში ამოგვიდგებოდა უკრაინაში სიტუაციის დარეგულირებაში, კერძოდ, ჩვენთან ერთად აიძულებდა კიევს, მიენიჭებინა დონბასისათვის განსაკუთრებული სტატუსი და ეღიარებინა ყირიმი რუსეთის განუყოფელ ნაწილად, – წერს რუსი ექსპერტი სერგეი მარკოვი.

მიტროხინი თვლის, რომ ფსონის დადება ასადზე უდიდესი შეცდომა იყო. ასადი უკიდურესად არაპოპულარული ლიდერია. მის მიერ ხელისუფლების შენარჩუნებაც მხოლოდ რუსული ხიშტებით თუ შეიძლება.

– შედეგად მივიღებთ ახალ ავღანეთს, დაიღუპებიან ჩვენი ჯარისკაცები. რუსეთის რესურსები ასადის რეჟიმს მოხმარდება. შედეგი კი ის იქნება, რაც ავღანეთში ანუ სირიელი პარტიზანები ადრე თუ გვიან დამასკოს აიღებენ, – თვლის მიტროხინი.

ცნობილი მეცნიერი, არაბისტი პროფესორი ზვიაგილსკაია თვლის, რომ სირიაში პუტინმა რაღაც შედეგს მაინც მიაღწია. უწინარეს ყოვლისა, ესაა ის, რომ აშშ-სთან გარკვეული შეხების წერტილები გამოიკვეთა. ორივე ქვეყანა ისლამური ტერორიზმის განადგურებითაა დაინტერესებული.

– აუცილებელია ამის ბაზაზე რუსეთ-აშშ-ის თანამშრომლობის გაფართოება. თუკი ეს მოხერხდა, რუსეთს არავითარი ტერორიზმის საფრთხე აღარ დაემუქრება, – თქვა ზვიაგილსკაიამ.

# ბარაქ ობამა: „ხელები შორს უკრაინისაგან!“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ვაშინგტონი უკრაინასთან დაკავშირებით პოზიციას არ შეიცვლის:

– რუსეთს კიდევ ერთხელ მოვუწოდებ: ხელები შორს უკრაინისაგან. მოეშვით შანტაჟს, ძალადობას, დაიწყეთ რეალური დიალოგი, – თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

ობამამ აღნიშნა, რომ დონბასში ვითარება სწორედ რუსეთის გამოისობით გართულდა. შესაბამისად, მშვიდობა მხოლოდ მას შემდეგ დამყარდება, როცა რუსული არმია დონბასს დატოვებს.

რაზე ისაუბრებენ ერდოღანი და პუტინი?

9 აგვისტოს პეტერბურგში ერთმანეთს რუსეთ-თურქეთის პრეზიდენტები შეხვდებიან. ერდოღანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები იქნება.

– უკანასკნელ ხანს რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა, რაც ჩვენს ეკონომიკურ კავშირებზეც აისახა. დადგა დრო, რათა ეს გამოვასწოროთ, – თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ სურს მოაგვაროს ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ორ ქვეყანას შორის რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ წარმოიშვა. პუტინთან შეხვედრის წინ თურქეთის პრეზიდენტმა რუსეთის მიმართ ერთგვარი რევერანსები გააკეთა. მან დასავლეთი ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

– უკვე დამტკიცებულია, რომ პუტჩის ხელმძღვანელობა დასავლეთიდან ხდებოდა. გადატრიალების ჩახშობის შემდეგ არცერთი დასავლელი ლიდერი თურქეთში არ ჩამოვიდა. ჩვენ ვერ მივიღეთ ის მხარდაჭერა, რომელსაც ველოდით, – თქვა ერდოღანმა.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი თვლის, რომ ერდოღანის ფლირტი რუსეთთან მხოლოდ თამაშია, რათა დასავლეთს რაც შეიძლება მეტი გამოსტყუოს.

– ერდოღანი ვერ შეძლებს თურქეთის ავტოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, როგორც ეს ირანში მოხდა. თურქეთის საზოგადოებას არც დიქტატურა უნდა, არც ისლამური ავტოკრატია. თუკი ერდოღანი ამ გზით წავიდა, მისი პოლიტიკური კარიერაც დასრულდება, – თვლის პორტნიკოვი.

# სირია რუსეთის წინააღმდეგ



სირიის სამოქალაქო თავდაცვის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსული ვერტმფრენიდან, რომელიც სირიელმა პარტიზანებმა ჩამოაგდეს, შხამიანი გაზით გაჯერებული ნივთიერებები ჩამოყარეს. შედეგად 33 მშვიდობიანი მოქალაქე დაზარალდა.

– ესაა ვანდალური ქმედება, – თვლიან სირიელი პატრიოტები.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ამ ინფორმაციას ცილისწამება უწოდა.

– ესაა რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული იდეოლოგიური დივერსია, – განაცხადა პესკოვმა.

თავის მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ჯერჯერობით არ შეუძლიათ დაადასტურონ რუსების მიერ გაზის გამოყენების ფაქტი.

– ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასობაში ალეპოსთან ბრძოლები გრძელდება. რუსულმა ავიაციამ განახორციელა დარტყმები იმ სირიელ პარტიზანთა პოზიციებზე, რომლებიც ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილის ბლოკადის გარღვევას ლამობდნენ. ამან პარტიზანების შეტევა შეაფერხა.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ნადეჟდა სავჩენკომ კვლავ შიმშილობა გამოაცხადა



კიევში უკრაინის პარლამენტის დეპუტატ ნადეჟდა სავჩენკოს პრეს-კონფერენცია შედგა.

დეპუტატმა ხელისუფლებას ბრალად დასდო უმოქმედობა, კერძოდ, ის, რომ დონბასში მშვიდობის დასამყარებლად არაფერს აკეთებს.

– დღეს დონბასში რუსული ხიშტების დახმარებით „რუსკი მირის“ ტოტალიტარული რეჟიმია გამეფებული. ამით ყველაზე მეტად დონბასელები იჩაგრებიან. აუცილებელია დიალოგი მოსახლეობასთან და არა დონეცკ-ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან, – თქვა სავჩენკომ.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ტყვეების გათავისუფლების პროცესის დაწყება. მან განაცხადა, რომ აქაც ხელისუფლება უმოქმედობას იჩენს. ამიტომაც ის, დეპუტატი სავჩენკო, იძულებულია, ისევ შიმშილობა გამოაცხადოს.

– ვაცხადებ შიმშილობას მანამ, სანამ ტყვეების გასათავისუფლებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგმება, – თქვა სავჩენკომ.

დეპუტატის მიერ შიმშილობის გამოცხადებას მის კოლეგებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

# შვეიცარიამ ევროკავშირში შესვლა გადაიფიქრა



შვეიცარიამ უკან წაიღო განცხადება ევროკავშირში შესვლის შესახებ. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიდიე ბურკჰალტერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში შესვლა ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

– ჩვენ გაგვაჩნია ხელშეკრულება ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანასთან და ეს საკმარისია, – თქვა ბურკჰალტერმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● ვაქირავებსაკუთარსახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43..

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# არაფერი მოულოდნელი — ზაგრებმა ლოგიკურად მოგვიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სკრიბეს, გაურკვეველია გუნდში მიკელ ალვაროს ყოფნა, ფეხბურთელის, რომელიც სასურველი აზერბაიჯანული კლუბებისთვისაც კი არ აღმოჩნდა, რა უნდა მატია შპიჩიჩს, რა ევალება... იქმნება შთაბეჭდილება, რომ დინამო ახლობლებს ასაქმებს, რათა მათ ოჯახებს „პურის ფული" ჰქონდეთ, ან მათი მეშვეობით ფული თეთრდება...

ალარაფერს ვამბობთ ქართველ ფეხბურთელებზე. საქართველოს ნაკრების განაპირა მცველი საკლუბო დონეზეც კი ერთ მწვავე ჩაწოდებას ვერ ახერხებს მეტოქის საჯარიმოში და სხვებს რა უნდა მოვთხოვოთ...

მოკლედ, თბილისის დინამო მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა ევროტურნირებზე და კიდევ ერთხელ გადაგვიწურა იმედი, რომ ქართული ფეხბურთი საშუალო ევროპულს მიუახლოვდება. სამწუხაროდ, მხოლოდ ანდორისა და სან მარინოს გუნდებზე უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ და არც მეტის პერსპექტივა ჩანს.

ამაში დამნაშავე პირველ რიგში კლუბის ხელმძღვანელობაა, რომელსაც ვერ გაუთავისებია, რომ დინამო მხოლოდ მათი არ არის – ის ყველასია, იმ ხალხის, რომლებსაც ახსოვთ სხვა დინამო...

პლუს მენეჯმენტი, რომელსაც არანაირი გათვლა არ აქვს და არც იცის, რომ სწორად დახარჯული თუნდაც 5 მილიონი მინიმუმ სამმაგ ოდენობას დააბრუნებს უკან.

კონკრეტულად თამაშზე კი რა უნდა ვთქვათ: სტატისტიკაში ვჯობდით მეტოქეს... მეტი კუთხური მოვაწოდეთ და ბურთის ფლობაც ჩვენი იყო, მაგრამ გოლები ორივე მატჩში მხოლოდ მეტოქეს გაჰქონდა. ერთადერთი სახიფათო მომენტი შევქმენით, როდესაც რენე ფერეირა თავით გზავნიდა ბურთს კარში და მეკარემ აუღო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ხორვატებს გოლი უკვე გატანილი ჰქონდათ. ის გოლიც რენეს შეცდომას მოჰყვა – როგის დარტყმული ჯარიმა გზად უჩა ლობჟანიძეს მოხვდა, მიმართულება ოდნავ შეიცვალა, მაგრამ სკრიბეს აღება მართებდა, მან კი ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

თუ პირველ ტაიმში ჩვენები უკეთ თამაშობდნენ და უპირატესობას ფლობდნენ, მეორე ტაიმში ესეც თვალსა და ხელს შუა გაქრა. არადა, შესვენებაზე იარაბეკმა გამოიყენა 2 ცვლილება და, წესით, გარდატეხა უნდა შეეტანა თამაშში, მაგრამ ამაოდ – დინამო მეორე ტაიმში საშინელი სანახავი იყო. ესეც „მწვრთნელის ხელი"...

საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ზაგრების დინამოსთან ორი მატჩის ჯამში 0:3 დამარცხდა და ევროპა ლიგის პლეი ოფში გადაერთო. ვნახოთ, იქ რა გველის...

**იურაი ირაბეკი, თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემთვის ძალიან რთულია საუბარი. პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებს, რომლებმაც გული და სული ჩადეს თამაშში. ძალიან ცუდია, როცა მე-8 წუთზე გოლი გავუშვით, არადა, ვაპირებდით, იქით გაგვეტანა და თან არ გაგვეშვა. პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩაატარა და თითქმის დარწმუნებულნი ვიყავით, რომ არ წავაგებდით, მაგრამ გოლი, რომელიც გავიტანეთ, ისიც კი არ ჩაითვალა.

გაუგებარია, რა დაინახა იმ ეპიზოდში მსაჯმა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ არ წაგვეგო... ზუსტად ვერ გეტყვით შეცდომების შესახებ, რადგან რთულ სიტუაციაში ჩავარდით – წინ მხოლოდ ერთი ტაიმი იყო დარჩენილი და ოთხი გოლი გვქონდა გასატანი, ამიტომაც სამმცველიან ტაქტიკაზე გადავერთეთ. შპიჩიჩი იმიტომ არ შემიცვლია, რომ ცუდად ითამაშა, უბრალოდ, ტაქტიკა შევცვალეთ. კურიეს თამაში კი არ მომეწონა.

ჩვენს მეტოქეს არცერთ სტატისტიკურ მონაცემში არ ჩამოვრჩით, მაგრამ ასეთია ფეხბურთი. მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში იდგა და ფეხბურთს მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. თუმცა, ზუსტად ესაა ევროპული ფეხბურთი, გამოცდილება, მათი 70 მილიონიანი ბიუჯეტი... ვფიქრობ, ევროპა ლიგის პლეი ოფში უშანსოდ არ ვიქნებით. ევროპა ლიგის პლეი ოფში იღბალიც დაგვჭირდება და უშანსოდ არ უნდა ვიყოთ. რაც შეეხება ჩემს კონტრაქტს, იგი სეზონის ბოლომდე ანუ დეკემბრამდე მაქვს გაფორმებული, თუმცა, ვინ იცის, პრეზიდენტმა შესაძლოა ნაადრევად მიიღოს ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილება.

**ზლატკო კრანჩარი, ზაგრების დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას და შემდეგ ეტაპზე გასვლას. ამას თავიდანვე ვვარაუდობდით – მიზანი გახლდათ. რთულ თამაშს ველოდი და ასეც გამოვიდა. ვიტყოდი, რომ შეხვედრის ბედი ნახევარდაცვის თამაშმა გადაწყვიტა და კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩემს გუნდს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში თამაშს... ზაგრებში თბილისელთა ნახევარდაცვამ შეგვიქმნა ყველაზე დიდი პრობლემა. ამის გამო ჩვენ ვიმუშავეთ და ცვლილებებიც განვახორციელეთ, ბენკოვიჩი და ჟონასი ვათამაშეთ შუა ხაზში. ამან დიდი როლი ითამაშა.

# 18 წლამდე ნაკრებმა უკრაინასაც სძლია და ერთპიროვნულად გალიდერდა




საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებმა ტრილერივით მატჩი მოიგო და ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის დ ჯგუფში კვლავ დაუმარცხებელია. მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში მიმდინარე ტურნირში ქართველებმა მეოთხე მატჩი გამართეს და ყველაზე ძლიერ მეტოქეს დაუპირისპირდნენ – უკრაინელ თანატოლებს. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე ლუკა ბულაშვილის ჩაგდებული საჯარიმოებით 72:71 მოიგო.

არადა, ჩვენებმა სასწაული თამაში შემოატრიალეს, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით: პირველი მეოთხედი თანაბარი იყო, თუმცა უკრაინელებმა ქულით მოიგეს. მეორე ათწუთეულში ჩვენების უპირატესობა გამოიკვეთა და 9 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოოდ ქართველების უპირატესობიდან 3 ქულაღა დარჩა – 37:34.

მესამე მეოთხედში ეს უპირატესობა გაქრა – უკრაინელებმა ათწუთეული დამაჯერებლად მოიგეს (27:14) და ბოლო პერიოდს 10-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდნენ – 61:51.

დაიწყო მეოთხე მეოთხედი და უკრაინელთა უპირატესობამ 13 ქულას მიაღწია – 69:56. აქ ქართველებს შეცდომის დაშვების უფლება აღარ ჰქონდათ, რადგან დარჩენილ დროში ამაზე დიდი სხვაობის გაბათილება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ლუკა ბულაშვილის ორქულიანს გოგა ბითაძემ სამიანი მოაყოლა, შემდეგ მიჯრით ორჯერ ჩააგდო ლევან ბაბილოძემ და, როცა ბულაშვილის კიდევ ერთი ნატყორცნიც ჩავარდა, დასრულებამდე 3:30 წუთით ადრე ქართველების ჩამორჩენა მინიმუმამდე შემცირდა – 68:69.

დარჩენილ დროში ქართველებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს. დასრულებამდე 01:50 წუთით ადრე უკრაინელმა ნიემცუმ ორქულიანით თავისიანები 71:68 დააწინაურა, რასაც ბულაშვილის მყისიერი ორქულიანი, შემდეგ კი ორმხრივი შეცდომები მოჰყვა. გუნდებმა 2-2 გაცუდებული შეტევა გაცვალეს და ქართველების უკანასკნელი შეტევის ჯერიც დადგა – ბურთი ბულაშვილმა მიიღო, რომელიც ფარისკენ დაძრული უკრაინელმა იაგოდინმა ჯარიმით შეაჩერა. საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე ლუკამ ორივე საჯარიმო ზუსტად ესროლა და ქართველებს მესამე პერიოდის დასაწყისში დაკარგული ლიდერობა კვლავ და საბოლოოდ დაუბრუნა – 72:71 ქართველების სასარგებლოდ, რომლებმაც ჯგუფიდან გასვლა, ფაქტობრივად, გაინაღდეს.

ჯგუფის ბოლო მატჩში ქართველები სლოვაკეთს შეხვდებიან, რომლის დამარცხებაც პირველი ადგილის გარანტია. კაზანჯიანის გუნდის მიზანიც სწორედ ლიდერად დარჩენაა, რათა ა დივიზიონისკენ მიმავალ გზაზე ვინმე ძლიერი არ გადაგვეყაროს.

შეგახსენებთ, რომ ელიტის საგზური ბ დივიზიონის 3 საუკეთესო ნაკრებს ერგება, რომლებიც მომავალ, 2017 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ გუნდები პლეი ოფს მეოთხედფინალიდან დაიწყებენ.

# ხორხე ვალდანო: „მესი სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს!"



მას შემდეგ, რაც ლეო მესიმ არგენტინის ნაკრები დატოვა, მთელი ქვეყანა შეშფოთებულია. ცხადია, მესის გარეშე არა მარტო არგენტინული, არამედ სრულიად საფეხბურთო სამყარო სხვა იქნება.

ასე ფიქრობს თითქმის მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი არგენტინაში. იქაური ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ლეგენდარული ხორხე ვალდანო მიიჩნევს, რომ ლეო მესის ეროვნულ ნაკრებში სწრაფად დაბრუნება აუცილებელია.

**ხორხე ვალდანო:**

– ეროვნული გუნდის კაპიტანმა და ქვეყნის მთავარმა იმედმა, 2016 წლის კოპა ამერიკის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა, თუმცა არგენტინის ახალმა თავკაცმა, ბაუზამ, ქომაგები დაამშვიდა და დარწმუნებით თქვა, რომ ლეოს დააბრუნებს. მესი ყოველი მატჩის მოგებაზე ფიქრობს და ვალდებულებასაც გრძნობს, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთია მისთვის. ჩვენ ახლა გენიაზე, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეზე ვსაუბრობთ. მისი ეროვნული ნაკრებიდან წასვლა უდიდესი პრობლემაა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება დღევანდელ არგენტინულ ფეხბურთში. ვფიქრობ, აუცილებელია, მესის ეროვნულ ნაკრებში რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნება.

# ილიას ზუროსის შესანიშნავი დებიუტი



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ბრწყინვალედ გახსნა წლევანდელი სეზონი. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც ევრობასკეტ-2017-ის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება 20 დღის წინ დაიწყო, სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში პირველი სპარინგ-მატჩი პორტუგალიასთან გამართა.

ამ გუნდმა 2 წლის წინ საქართველო სასტიკად ანერვიულა და მხოლოდ ოვერტაიმში, 1 ქულით დათმო მატჩი, მაგრამ სლოვენიაში ქართველების წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა. შესანიშნავი თამაშის წყალობით ჩვენმა ნაკრებმა პორტუგალიელები გაანადგურა – 90:71.

მატჩის მიმდინარეობისას იყო მომენტი, როდესაც ქართველები 26 ქულით იგებდნენ და რომ მოენდომებინათ, ამაზე გაცილებით დიდი სხვაობითაც იმარჯვებდნენ, მაგრამ არითმეტიკა ახლა ყველაზე ნაკლებად სადარდოა. რაც მთავარია, ბერძენმა სპეციალისტმა და სამწვრთნელო შტაბმა საქმეში დაინახა იმ მუშაობის ნაყოფი, რაზეც სლოვენიაში მუშაობს.

პირველ ტაიმში პორტუგალიელებმა პერიმეტრზე გაილაღეს და სამქულიანი სროლებით გადიოდნენ ფონს. ამან ლუზიტანიელებს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუმართლა, შემდეგ კი ზუროსმა დაცვა გადააწყო, კალათბურთელებს საჭირო დავალებები მისცა და შედეგიც მოიმკა. თუკი საწყისი 10-წუთეული მხოლოდ 2 ქულით მოიგეს, მეორე პერიოდში ქართველების უპირატესობა აშკარა იყო და ეს ანგარიშშიც სწრაფად აისახა. მეორე მეოთხედი 22:13 მოვიგეთ, ხოლო მესამეში თამაშის ბედი გაირკვა.

ზუროსის გუნდის უპირატესობამ 26 ქულას მიაღწია და დამშვიდებულ გულზე ბერძენ მწვრთნელს სხვა ტაქტიკა-სისტემების დამუშავების საშუალება, ასევე ნაკრების ახალბედების გამოცდის საშუალება მიეცა.

სასტარტო ხუთეულში 2 ნომინალური გამთამაშებელი იყო – გიორგი ცინცაძე და მაიკლ დიქსონი, თუმცა ამერიკელი ლეგიონერი უფრო ფრთაზე იყო გაწეული და მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა.

ცინცაძე კი მახვილგონივრულად უძღვებოდა ჩვენი ნაკრების შეტევებს და, შანსი რომ მიეცემოდა, თავადაც აგვირგვინებდა შეტევებს. ვიქტორ სანიკიძე, რომელიც აქამდე უფრო ფარისკენ იწევდა და თავდამსხმელს პოზიციას უმაგრებდა, წმინდა 3 ნომრად ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, სანიკიძე ფარზე მუშაობით უწინდელივით აღარ იტვირთებოდა, რაკი სამწამიან ზონას სრული დომინანტები ჰყავდა თორნიკე შენგელიასა და გიორგი შერმადინის სახით.

შენგელია, ფაქტობრივად, შეუჩერებელი იყო, შერმადინი კი ტაქტიკური თვალსაზრისით უდიდეს სამუშაოს ასრულებდა – მეტოქის დამცველთა ყურადღების მიქცევით შენგელიასა და პერიმეტრზე დადარაჯებულ სხვა მოთამაშეებს უთავისუფლებდა ასპარეზს.

შესანიშნავად ჩაერთო თამაშში დუდა სანაძემ, რომელმაც ყველა ის კომპონენტი შეასრულა, რასაც მისგან მწვრთნელები ითხოვენ. სანაძეს რომ სამქულიანების სროლასა და სწრაფ შეტევებში რომ წუნი არ დაედება, ვიცით და მისგან უწინდელზე მეტი დაცვითი შემართება ვიხილეთ, რაც მას მეტოქეთათვის ერთიორად საშიშ მოთამაშედ აქცევს. 21 წუთში მითვლილი 14 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა გვარიანი წილი იყო საქართველოს გამარჯვებაში. მის დარად, 14 ქულა მიითვალა შერმადინმაც.

ბომბარდირი თორნიკე შენგელია გახდა 18 ქულით, ხოლო სანიკიძემ 13 ქულა მიითვალა. ძალიან სარგებლიანები იყვნენ სასტარტო უკანახაზელები: ცინცაძემ პირველ ტაიმში მოგროვებულ 7 ქულას ალარაფერი შემატა, სამაგიეროდ პასების გრაფაში 10 ერთეული ჩაიწერა. შესანიშნავი დებიუტი მოიწყო დიქსონმა, რომელმაც 11 ქულა, 6 პასი, 3 ჩაჭრა და 3 მოხსნა ისე მოაგროვა, რომ ბურთი ერთადერთხელ დაკარგა.

პორტუგალიასთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წარმომადგენელმა, ილიას ზუროსის ასისტენტმა იურიცა გოლემაცმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ეს იყო ახალი სისტემის, ახალი მწვრთნელის პირველი მატჩი და შედეგით კმაყოფილები უნდა ვიყოთ. როგორც აქამდე ითქვა, განსაკუთრებით დაცვაში შეიცვალა ბევრი რამ და ვფიქრობ, კალათბურთელები კარგად იაზრებენ, რას ითხოვენ მწვრთნელები. ცხადია, შეცდომებიც იყო, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ ეს გახლდათ ჩვენი პირველი მატჩი მიმდინარე სეზონში. თამაშიდან თამაშამდე შეცდომების რაოდენობა უნდა შევამციროთ. პორტუგალიასთან მატჩმაც დაგვანახა, რომ კალათბურთელები ფიზიკურად თავს კარგად გრძნობენ, რადგან აქამდე დიდი დრო დავუთმეთ ფიზიკურ მომზადებას. მეტოქემ ბევრი სამქულიანი ჩაგვიგდო, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის სანერვიულო, ვინაიდან პორტუგალიელებმა ეს თამაშის დასაწყისში გააკეთეს. შემდეგ, მწვრთნელთა მითითებისა და ჩვენი კალათბურთელების გააზრებული მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგეს შორეული ტყორცნების თავისუფლად შესრულების საშუალება აღარ მისცემია. წინ კიდევ უფრო რთული მატჩები გველის. მიმაჩნია, რომ რუსეთი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია და სწორედ მოსკოვში, მასპინძლებთან და ბელარუსებთან მატჩში გამოჩნდება სად ვართ დღეს. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრის მოგება გვსურს, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მიზანი ამ ეტაპზე მაინც თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაა.

საქართველოს ნაკრები გუშინ მსუბუქად ივარჯიშა, დღეს დილით მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ხვალ ბელარუსს, 6-ში კი რუსეთს დაუპირისპირდება.

## შედეგები

**2 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ყარაბახი-პლზენი | 1:1 |
| აპოელი-რუსენბორგი | 3:0 |
| დინამო (თბ)-დინამო (ზ) | 0:1 |
| ცრვენა ზვეზდა-ლუდოგორეცი | 2:4(დდ) |
| დანდალკი-ბატე | 3:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| პკ 35-ილვესი | 1:1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ამერიკულ წყვილს სამ დოლარად შეძენილმა ფიალამ მილიონები აშოვნინა



ნიუიორკელი ცოლ-ქმარი მოულოდნელად ნამდვილი განძის მფლობელი გახდა. რამდენიმე წლის წინ ისინი თავიანთ რაიონში შემთხვევით გადააწყდნენ გაყიდვის პროცენტს. ერთ-ერთი ბინის მფლობელები სხვა ქალაქში გადადიოდნენ საცხოვრებლად და იმ ნივთებს ყიდიდნენ, რომლებიც ჩათვალეს, რომ აღარ გამოადგებოდათ.

ამ ნივთებს შორის იყო არასტანდარტული საინტერესო ორნამენტით დამშვენებული ფიალა, რომელმაც ცოლ-ქმრის ყურადღება მიიპყრო. საბოლოოდ ეს ფაიფურის ფიალა მათ სამ დოლარად შეიძინეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ნივთისთვის წყვილს დიდი ყურადღება არ მიუქცევია და ის, უბრალოდ, ბუხარს ამშვენებდა. ერთხელ, როდესაც ტელევიზორს უყურებდნენ, ნახეს გადაცემა, სადაც საკოლექციო ნივთებზე იყო საუბარი, მათ შორის ფაიფურის ვაზებსა და ფინჯნებზე. სწორედ მაშინ გაიხსენეს მათ საკუთარი შენაძენი. მათ ფიალა დაათვალიერეს და მის ძირზე ოდნავ შესამჩნევი დამღა შენიშნეს. ფიალა ერთ-ერთ ანტიკვარს აჩვენეს და მისმა ვერდიქტმა ცოლ-ქმარი გააოგნა. აღმოჩნდა, რომ ფიალა არა უბრალოდ ძვირფასი, არამედ მეტად ძვირფასი იყო! ის ჩინეთის სუნის დინასტიის ეპოქას განეკუთვნებოდა, რომელიც ქვეყანას დაახლოებით ათასი წლის წინ მართავდა.

წინასწარი შეფასებით, ფიალა 300 ათას დოლარად შეფასდა. უფრო დაწვრილებითმა ანალიზმა ამ საგნის უნიკალურობა გამოავლინა. ის სოტბის აუქციონზე იქნა გატანილი და ფანტასტიკურ ფასად, 2.225.000 დოლარად გაიყიდა.

## აშშ-ის ზოოპარკში პანდას იუბილეზე ტორტი აჩუქეს



აშშ-ის ქალაქ სან-დიეგოს ზოოპარკის ბინადარ დიდ პანდას დაბადების დღის ოთხი წლისთავზე ყინულის ტორტი მიართვეს. სიაო ლივუსთვის ეს „დიდი დღე“ იყო. ის საჩუქრებს ხსნიდა და მირთმეულ ნუგბარს შეექცეოდა.

როგორც ზოოპარკის წარმომადგენელმა განაცხადა, პანდამ მაშინვე გადაწყვიტა, შეემოწმებინა საჩუქრები. შემდეგ სიაო ლივუმ ვოლიერში გაისეირნა და ტორტს მიაგნო.

სიაო ლივუ სან-დიეგოს ზოოპარკში დაბადებული მეექვსე პანდაა. ბოლო წელს ის აქტიურად იზრდებოდა და ზომებში თითქმის გაუტოლდა თავის მამას.

დღეისთვის სან-დიეგოს ზოოპარკში სამი დიდი პანდა ბინადრობს, რომლებიც ჩინეთიდან იჯარით არიან დაქირავებულნი.

## დიდ ბრიტანეთში აღმოაჩინეს ხე, რომელიც დონალდ ტრამპს ჰგავს

ბრიტანეთის ქალაქ ჰერეფორდის გარეუბანში ნაპოვნია ხე, რომლის ვარჯიც აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკური პარტიის კანდიდატ დონალდ ტრამპის პროფილს წააგავს.

ეს აღმოჩენა 36 წლის ფოტოგრაფმა ჯონ როულიმ გააკეთა.

— საჭესთან ვიჯექი, როდესაც ეს წარმოუდგენელი მსგავსება შევნიშნე და მაშინვე მივ-



ხვდი, ის ტრამპს ჰგავდა, — განაცხადა ფოტოგრაფმა. მან ასევე ეს ჩათვალა იმის მინიშნებად, რომ ამერიკელი მილიარდერი თავის მიზანს მიაღწევს და გაიმარჯვებს.

შეგახსენებთ, რომ დონალდ ტრამპი რესპუბლიკური პარტიის მხრიდან აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად 19 ივლისს პარტიის ყრილობაზე ოფიციალურად დასახელდა, ხოლო მისი არჩევნების გამარჯვების შემთხვევაში ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას ინდიანის შტატის გუბერნატორი მაიკ პენსი დაიკავებს.

## ბრიტანეთში გაქცეული ფოცხვერი დაიჭირეს



დიდ ბრიტანეთში, როგორც იქნა, დაიჭირეს ფოცხვერი, სახელად ფლავიუ, რომელიც ზოოპარკიდან სამ კვირაზე მეტი ხნის წინ გაიქცა.

ორი წლის მტაცებელმა დარტმურის ზოოპარკს თავი 7 ივლისს დააღწია, იქ მოთავსების მეორე დღეს.

მას პოლიციის შვეულმფრენისა და უპილოტო საფრენი აპარატის დახმარებით ეძებდნენ. გარდა ამისა, ექსპერტები მისთვის მახეებს დგამდნენ და ასევე მის მიტყუებას მისი დედის ხმის ჩანაწერით ცდილობდნენ. საბოლოოდ ის ერთ-ერთ ხაფანგში გაება და დაიჭირეს.

— ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფოცხვერი უსაფრთხოდაა. მართალია, გაბრაზებულია, მაგრამ ჩვენ უკვე ვცდილობთ, მისთვის მეწყვილედ მდედრი ფოცხვერი შევარჩიოთ, რომლის გვერდითაც თავს მარტო არ იგრძნობს, — განაცხადა ზოოპარკის მფლობელმა ბენჯამინ მიმ, რომელიც ასევე ავტორია წიგნისა „ჩვენ ზოოპარკი ვიყიდეთ“ და რომლის მოტივებზეც იქნა გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმი, რომელშიც როლებს მეთ დეიმონი და სკარლეტ იოჰანსონი ასრულებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გატაცების იმიტაციისთვის ამერიკელი გოგონა დააპატიმრეს



ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში მცხოვრები გოგონა მას შემდეგ დააკავეს, როდესაც მან თავის დედას გაუგზავნა ვიდეოჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის გაიტაცეს.

ქალაქ სიმპსონვილის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში მყოფმა 22 წლის ჯესიკა ჯონსტონმა პირი საიზოლაციო ლენტით აიკრა და თავი ისე წარმოადგინა, თითქოს მოტაცებული იყო, ეს ყოველივე კი ვიდეოზე გადაიღო. ამის შემდეგ გოგონამ დედას რამდენიმე შეტყობინება გაუგზავნა ვიდეორგოლთან ერთად. შეშფოთებულმა ქალმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა, მაგრამ, მას შემდეგ, როდესაც გოგონა იპოვეს, სიმართლე გაირკვა. აღმოჩნდა, რომ ეს ყოველივე მისივე გაკეთებული იყო.

გოგონას დედამ, კრისტიმ, ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა, ხოლო კომენტარში მომხდარი აღწერა და განაცხადა, რომ მისი შვილი ნარკოდამოკიდებულია და ეს ვიდეორგოლიც სწორედ ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფმა გადაიღო. პოლიციელები რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ ვინ იყო ვიდეორგოლის ავტორი, რის შემდეგაც გოგონამ ყველაფერი აღიარა. მას პოლიციის თანამშრომლებისთვის ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდება წაუყენეს.

## ამერიკაში წყალდიდობის გამო მანქანაში ჩარჩენილი ქალი გადაარჩინეს

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ელიკოტ-სიტიში გადაარჩინეს ქალბატონი, რომელიც წყალდიდობის გამო საკუთარ მანქანაში ტყვეობაში აღმოჩნდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში სარა არდიტიმ გამოაქვეყნა.

ქალის თქმით, აღნიშნული ვიდეო მისმა მეუღლემ გადაიღო. ის სხვა მამაკაცებთან ერ-



თად მძღოლი ქალის გადარჩენის ოპერაციაში მონაწილეობდა.

ადგილობრივი პრესის ცნობით, ძლიერი წვიმის შედეგად მდინარეები პოტაპსკო და ლითლ პატუქსენტი ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალდიდობის შედეგად ქალაქ ელიკოტ-სიტიში მინიმუმ ორი ადამიანი დაიღუპა.

## ირანელი მამაკაცები ქალების სოლიდარობის ნიშნად ჰიჯაბებში გამოეწყვნენ

ირანელმა მამაკაცებმა სოციალურ ქსელებში ჰიჯაბში გამოწყობილი საკუთარი ფოტოსურათების გამოქვეყნება დაიწყეს და ამას საკუთარი ქვეყნის მცხოვრები ქალების სოლიდარობის ნიშნად აკეთებენ, რომლებისთვისაც ტანსაცმლის ამ ატრიბუტის ტარება სავალდებულოდ ითვლება.

მამაკაცები იყენებენ ხეშტეგს მენჰიჯაბს.



ისინი სურათებს ამ თავსაბურავებით შემოსილები იღებენ ან თავზე მაისური, პერანგი ან სხვა ნივთი ახურავთ. აღნიშნული ფოტოსურათებისთვის თანდართულ წარწერებში აქციის მონაწილეები საზოგადოებას მოუწოდებენ, ირანელ ქალებს დამოუკიდებლად ჩასაცმელის არჩევის გადაწყვეტილების უფლება მისცენ.

ამ ფლეშმობის ავტორია დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ირანელი ჟურნალისტი ქალი მაზიხ ალინეჯადი.

— ამ მამაკაცების უმრავლესობა ირანში ცხოვრობს და ყოველდღე საკუთარი თვალით ხედავენ, თუ როგორ ამცირებენ მათ ნათესავ ქალებს ძალდატანებით ჰიჯაბის ტარებით და პოლიციით აშინებენ, — აღნიშნავს მაზიხ ალინეჯადი.

## მადლენ ოლბრაიტის გულსაბნევმა ინტერნეტი ააფეთქა



აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნისმადლენ ოლბრაიტის გულსაბნევმა, რომელიც დამტვრეული მინის ჭერის იმიტაციას წარმოადგენს, ინტერნეტი ააფეთქა. ეს აქსესუარი ქვეყნის პრეზიდენტობის დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ჰილარი კლინტონს ეძღვნება.

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ გულსაბნევების თამაშში თუ ვინმეს ძალუძს მადლენ ოლბრაიტის დამარცხება, ეს თავად მადლენ ოლბრაიტია, — ნათქვამია ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

ეს აქსესუარი ოლბრაიტმა დემოკრატების ყრილობაზე კლინტონის სიტყვით გამოსვლის დროს გაიკეთა. თავისი გულსაბნევის ფოტოსურათი პოლიტიკოსმა ტვიტერში განათავსა.

— დღევანდელი საღამოს შემდეგ ეს გულსაბნევი ერთადერთი მინის ჭერი იქნება, რომელიც ფილადელფიაში დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე დარჩება! — განაცხადა ოლბრაიტმა.

მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ჰილარი კლინტონმა იმ ფაქტით, რომ პირველი პრეზიდენტობის კანდიდატი ქალი გახდა, მინის ჭერი დაამსხვრია. თავად ოლბრაიტი ქვეყნის ისტორიაში პირველი სახელმწიფო მდივანი ქალი იყო.

## ასტროპროგნოზი
### 4 აგვისტოსთვის



**ვერძი** — წინააღმდეგობრივი დღეა. გაღიზიანებული ხართ, რამაც შესაძლოა გარშემომყოფებთან კონფლიქტამდე მიგიყვანოთ. მეტი დიპლომატიურობა გმართებთ. **კურო** — იმისათვის, რომ საკუთარი პრინციპები დაიცვათ, საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. ერიდეთ კონფლიქტს საპირისპირო სქესთან. **ტყუპები** — ფინანსური მდგომარეობა ერთობ არასტაბილურია. ერიდეთ საყიდლებზე წასვლას. განსაკუთრებით არასასურველია ძვირფასი ნივთის ყიდვა. **კირჩხიბი** — დღეს მიხვდებით, რომ სურვილის ასრულება ბედნიერებას ყოველთვის არ ნიშნავს. ჩაუღრმავდით თქვენს შინაგან სამყაროს და გულისხმას მოუსმინეთ. **ლომი** — ერიდეთ ექსტრავაგანტურ ქმედებებს. ნუ ეცდებით, წარმატებას ერთბაშად მიაღწიოთ. ეს საკმაო ნერვიულობის ფასად დაგიჯდებათ. **ქალწული** — იყავით ინიციატივიანი და ყველა საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. საკუთარი პოზიცია არ დათმოთ. **სასწორი** — ნუ იაქტიურებთ. თავმდაბლად იმუშავეთ. ხალხმრავლობაში ყოფნა არას გარგებთ. **ღრიანკალი** — დღეს ძალზე თავშეკავებული და მომთმენი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **მშვილდოსანი** — ემოციები მოთოკეთ. აგრესია ჩაიხშვეთ და ისე იმოქმედეთ. ასე დიდ სკანდალს აიცილებთ თავიდან. **თხის რქა** — დღეს მხოლოდ ის სამუშაო შეასრულეთ, რომელიც ხელგეწიფებათ. გარისკვა ახალ პრობლემებს წარმოშობს. **მერწყული** — შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება, თუ ქალაქგარეთ გაისეირნებთ. მოსალოდნელია მცირე კამათი ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან. **თევზები** — ნუ იქნებით სუბიექტური. მოვლენები საღად შეაფასეთ. გარშემომყოფებთან, განსაკუთრებით კი ნათესავებთან ურთიერთობისას ტაქტი გამოიჩინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 2. სამონასტრო კომპლექსი ოჩამჩირის რაიონში; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. წყალგარეული ღვინო; 6. ძალიან იშვიათი ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. ბილიარდის სათამაშო სპეციალური ჯოხი; 16. კროსვორდის გამომგონებელი; 18. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი კონტინენტი; 4. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 7. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. მდინარე ვარშავაში; 13. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 15. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 17. ბატონი, მემამულე შუა აზიაში; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. საჭმელი სოკო; 21. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ნორვეგიაში.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლაღიძე; 2. მირაჟი; 3. სმეტანა; 4. ჟინვალი; 5. სუფიქსი; 7. არქტიკა; 11. ჟესტი; 12. ჩონჩხი; 13. ვიმპელი; 14. გლობუსი; 15. დიდუბე; 17. არენდა; 19. ჯიდა.

**თარაზულად**: 5. სანაცია; 6. კალმარი; 8. ჟოქო; 9. ფარჩა; 10. ქაშერი; 11. ჟირო; 13. ვაპორეტო; 14. გესლი; 16. პანჩი; 18. ჭუპრი; 20. სარდელი; 21. ბაიდენი

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხულა; 2. დურდო; 3. არაყი; 5. ბალეტი; 6. ნიკოლაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. თხა; 16. ულესი; 18. ბიტი.

**თარაზულად**: 1. ხენდრო; 4. კაბოშონი; 7. პრიზმა; 8. ყაზბეგი; 12. პეტრა; 13. მთვარე; 15. დევიზა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. დიეტა; 21. ყინული. .

# დიმიტრი ხვთისიაშვილი: „მოზარდ მაყურებელთა თეატრი შეურაცხყოფილია“

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი თეატრალურ პრემია „დურუჯის“ ჟიურის წევრების მხრიდან თეატრისა და მსახიობების შეურაცხყოფაზე სოციალურ ქსელში ღიად საუბრობს.

**დიმიტრი ხვთისიაშვილი:**

– წლევანდელ „დურუჯთან“ დაკავშირებით კვლავ დაიწყო ციებ-ცხელება! ვულოცავ ყველას, ვინც მოკლე სიაში დაასახელეს. გულწრფელად მიხარია ჩემი მეგობრებისა თუ უმცროსი კოლეგების წარმატება.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი შეურაცხყოფილია არა იმის გამო, რომ სიაში ვერ მოვხვდით, არამედ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო რედიქსისა და ჟიურის მხრიდან.

პ.ს. ისე, არც ამ პოსტს არ დავწერდი, თეატრის ხელმძღვანელი რომ არ ვიყო. გარკვეულ პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ სხვათა შრომის აბუჩად აგდების გამო.

# პაატა გულიაშვილი „დურუჯის“ მოკლე ნუსხას აპროტესტებს



რუსთაველის თეატრის მსახიობი და თელავის თეატრის ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი თეატრალურ პრემია „დურუჯის“ მოკლე ნუსხას აპროტესტებს და ჟიურის უნდობლობას უცხადებს.

საკუთარი პროტესტის დასადასტურებლად ის უარს ამბობს თელავის თეატრის თეატრალურ პრემია „დურუჯში“ მონაწილეობაზე.

**პაატა გულიაშვილი:**

– სწორია სტურუა, სწორი..... მანანა აბრამიშვილი, ლექსო რაზმაძე წარდგენილებიც რომ არ არიან დურუჯზე... ვისზეც დარბაზები ინგრევა და ბილეთები არაა საერთოდ, წარდგენილებიც არ არიან დურუჯზე....

მოკლედ, ბევრი მინდოდა დამეწერა, მარა არ ღირხართ ყურადღებისთვის!!!! მოკლედ, იულიუსიდან დაწყებული, დავით უფლისაშვილს ვგულისხმობ, რა უნდა ვთქვა, ორი არათეატრალი ჟიური დამითაგეთ... იყავით და ატარეთ ერთმანეთში!

ისე, ფრთხილად, მარტო არ დარჩეთ და ერთმანეთის შეფასება არ მოგიწიოთ, არაპროფესიონალო თეატრმცოდნეებო, ვისაც გეხებათ, შემეხმინეთ!

მშვიდობით, დურუჯო, კიდევ ერთი თეატრი გამოგაკლდათ!

# ცხინვალის თეატრის მსახიობს ბინა დაუწვეს



ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მსახიობ ვეფხია კასრაძეს ბინა გაუძარცვეს და დაუწვეს.

ინფორმაცია ცხინვალის თეატრის ხელმძღვანელმა ზაზა თედიაშვილმა გაავრცელა:

– მეგობრებო! ორი დღის წინ ჩვენ ყველა ერთად დაბადების დღეს ვულოცავდით ჩვენი თეატრის მსახიობ ვეფხია კასრაძესა და მის ვაჟს, ასევე ჩვენი თეატრის ხმის ოპერატორ თორნიკე კასრაძეს!... ერთ დღეს დაბადებული მამა-შვილი ერთად იყვნენ ცხინვალის მოსაზღვრე პირველივე სოფელ ერგნეთში და ახლობლებთან ერთად მოკრძალებული სიმბოლური ფორმით აღნიშნავდნენ დაბადების დღეს!..

ამავე სოფელში იუბილარი თორნიკეს დედა, ასევე ჩვენი მსახიობი დალი დოიჯაშვილი ატარებდა ომში გარდაცვლილ თანამემამულეთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას... როდესაც თორნიკეს მეზობლებმა რუსთავიდან შეატყობინეს მათ სახლში მომხდარი ხანძრის შესახებ!...

საშინელი სურათი დახვდა სახლში სწრაფად დაბრუნებულ 25 წლის თორნიკეს, რომელმაც დიდი ხნის წვალებით, სამსახურში რთული რეჟიმის მიუხედავად, თითქმის დაამთავრა რემონტი და შეიძინა ოჯახისთვის მცირედი, მაგრამ საჭირო ნივთები და!!!!......... ბინა გაძარცვულია.... სასტიკად ცინიკურად გადამწვარი!!!....

ვერ აღვწერ დალის რეაქციას, რომელსაც შვილები ბოლო წუთამდე ამ საშინელებას უმალავდნენ!!!... ენით აუწერელი სურათი დაგვხვდა ყველას! დიდი მადლობა ჩვენს თაია გოგიძეს, რომელმაც როგორ ჩამასწრო რუსთავში, ვერ მივხვდი!.. დიდი მადლობა რუსთავის თეატრის მსახიობებს თამრიკო კანდელაკსა და ვერიკო შოშიაშვილს, რომლებიც ყველაზე მძიმე წუთებში დალის გვერდით აღმოჩნდნენ!!!...

ჩემო მეგობრებო, ეს გახლავთ ოჯახი, რომელიც იძულებულია, მესამედ დაიწყოს აბსოლუტური ნულიდან ფეხზე დადგომა!!!.....

შვებულებაში გასული თეატრი საგანგებოდ იკრიბება.... მოვიფიქრებთ რამეს!!!...... და დამატებით გაცნობებთ.

# ქართველი საოპერო მომღერალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია



ახალგაზრდა ქართველი საოპერო მომღერალი გიორგი ცინცაძე პირველად ფართო საზოგადოებამ მაშინ გაიცნო, როდესაც იტალიაში რუსი ტურისტი გოგონა დახრჩობას გადაარჩინა. მაშინ ქართველი ბარიტონის ვაჟკაცობაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

ტენორი გიორგი ცინცაძე იტალიაში მაშველად მუშაობს და თავის საოპერო კარიერას ამ საქმეს არაჩვეულებრივად უთავსებს. გიორგი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს და არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელია.

ამჯერად გიორგიმ იტალიაში გამართულ რიგით მეცხრე საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ლაურეატის წოდება მოიპოვა. მონაწილეთა შორის გიორგი ერთადერთი ქართველი იყო და მისი კონკურსში მონაწილეობაც გამარჯვებით დასრულდა.

გიორგი ცინცაძე მაყურებლის სიმპათიის ჯილდოს მფლობელიც გახდა.

# ჯაბა ბოჯგუას დედა შვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ნენ და ჯაბას მაგივრად პრობაციას მე ვაწერდი ხელს. სასჯელაღსრულებიდან ახლა ერთხელ მაინც მოსულიყვნენ და წამალი მაინც მოეტანათ მისთვის. ქართველ ექიმებსაც არ აინტერესებთ, როგორ მოვიდა ჯაბა აქამდე. ჩვენ რომ უცხოეთში ვიყოთ, იქაური ექიმები დაკვირვებას დაიწყებდნენ და შეისწავლიდნენ ჩემი შვილის მდგომარეობას, რამ მოიყვანა ჯაბა აქამდე. ნაწოლების გარეშე მოვიყვანე დედამ შვილი. 8 წელია ისე ვუვლი, არაფერს ვაკლებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გაჭირვება და ტკივილი ვნახე, არ გავბოროტებულვარ, ის ადამიანიც კი არ დამიწყევლია, რომელმაც ჩემი შვილი ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო. ვალი ვის არ ჰქონია?! შეიძლებოდა ამ საკითხის ნორმალურად მოგვარება და არა ადამიანის ციხეში გაშვება. მას ჩემი წყევლა არაფერში სჭირდება. ის ამ ტვირთს მთელი ცხოვრება მაინც ვერ მოიშორებს. მან თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა და ჩემი შვილი კი დაღუპა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ზაურ (კარლო) კვარაცხელიას მოსაგონარი



ყველასათვის საყვარელო, უკეთილშობილესო, განუმეორებელო, ერისა და ქვეყნის მოყვარულო, პატრიოტო ადამიანო!

უკვე მეორმოცე დღე დადგა და გონს ვერ მოვსულვართ, შენმა უდროოდ დაკარგვამ თავზარი დაგვცა. გვიყვარხარ და გეფერებით.

ვერ მოესწარი შენს კუთხეში დაბრუნებას, იმედს გვაძლევდი, მალე დავბრუნდებითო, ან როგორ გინდოდა, ფეხი დაგედგა იმ მიწაზე, სადაც დაიბადე და გაიზარდე.

დღესაც ყურში ჩამესმის დედას თხოვნა, შენს თავს გვაბარებდა, არიქა, ნანა, კარლოს მიმიხედეთო.

დედამ ოთხი შესანიშნავი ბიჭი გაზარდა. მძიმე დრო იყო. მამა ომში იბრძოდა, დედა მარტო ზრდიდა შვილებს. ხშირად უთქვამს, ერთ წიგნში ერთი ფუთი სიმინდი მიმიციაო. ოჩამჩირეში წასულა, სიმინდი ტომრით წაუთრევია და შვილებისთვის „ვეფხისტყაოსანი“ ჩამოუტანია.

ვაი, რომ ვერ მოგხედეთ, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენც დიდი უბედურება დაგვატყდა თავს ხათუნას უდროოდ დაღუპვის გამო.

რა დამავიწყებს იმ ღამეს, ჩვენთან ერთად რომ გაათენე. ის საშინელი ღამე, როცა გაფურჩქვნის ასაკში დაღუპული შვილი მიწას მივაბარეთ...

შენ მშვენიერი ოჯახი დატოვე, კეთილშობილი მეუღლე, ღირსეული შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილით.

ნათელში გამყოფოს უფალმა!
ამინ!

### ჯიმაიას!

**საყვარელო! სანატრელო!**
**მშობლიურო აჩიგვარა,**
**კი მინდოდა შენთან ყოფნა,**
**მაგრამ ბედმა არ მაცალა.**
**რა ვქნა, ბედმა რაც მარგუნა,**
**მას მივსტირი, სხვას კი არა;**
**მიყვარს ჩემი „ოდაბადე“.**
**დიდოუ ნანა, დიდოუ ნანა...**
**– ჩვენ კი სხვა რა დაგვრჩენია,**
**ქალდეურად, ქრისტეს ენით,**
**გ ი გ ა ლ ო ბ ე ბ თ**
**„ნენანა, ნენანა, ნენანას“...**

*ციალა აჩიგვარელი*



ძმები ელგუჯა და ჯონდი გაბეჩავები, რძალი ირა წიქვაძე, ძმისშვილები ლევან, მანანა, ირმა და ნინო გაბეჩავები, ძმების შვილიშვილები იზიდა, მარი ჩხეიძეები, თეონა კუბლაშვილი, სიძე ლევან მინჯორაია მწუხარებით იუწყებიან

**ომარ გაბეჩავას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 6 აგვისტოს, 15 საათზე; სამტრედია, ნინოშვილის უბანი.

მამია სულაბერიძე, ბიჭიკო მოლოდინი, გია ბენდუქიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**ომარ გაბეჩავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 4 აგვისტო**

**07.30** დ/ფ "არქიტექტურა" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ტ/სერ. **"დომბე და ვაჟი"** **10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ქალი" რომელიც ბრუნდება"** **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფგიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ხმა წარსულიდან"** **19.00** მინი/სერ. **"ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი"** **20.50** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.30** ტ/სერ. **"ბეითსების მოტელი"** **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ **"ექსპრესი"** **01.10** მხ/ფ **"სუფთა ფურცელი"**

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ **"არჩევანი"** (ჟ.ბისე) **16.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **17.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. **"ამერიკული ოდისეა"** **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00, 23.30** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **23.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ **"ძმები გრიმების ფიფქია"**

**06.00** სერ. **"დახურული სკოლა"** **07.00, 14.40** სერ. **"ფიცი"** **10** სერ. **08.00, 16.00** სერ. **"თანხმობა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბამბის ველი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **11.20** სერ. **"ჟუმონგი"** **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5"** **4** სერ. **23.00** სერ. **"სპარტაკი"** **4** სერ. **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ **"ფარული მუქარა"** **02.45** მხ/ფ **"ძილის წინ"** **04.15** მხ/ფ **"უკანასკნელი ეგზორცისტი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30** დ/ფ - შ.მალაშხია **08.30, 09.10, 01.00, 03.30** მხ/ფ. **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** სერ. **"გაბრიელა"** **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"ცხოვრების გზები"** **19.45, 20.05** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **22.00** სერ. **"ხელოვნური სუნთქვა"** **23.00** დ/ფ "სასიკვდილო საჩუქარი" შ.მალაშხია

**8.00** ან/სერ. - **"ავატარი"** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00, 0.45** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00, 2.45** სერ. **"ძვლები"** **15.00** მხ/ფ **"ბნელი რაინდი"** **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. **"სამეფო კარის თამაშები"** **23.00** მხ/ფ **"ძველი მეგობრები"**

**06.15** სჯანი **4.** ასტროლოგია (გამ. **30** ივლისი) **06.40** პატერიკი **37.** ღვთის განგებულება ადამიანის ცხოვრებაზე **06.50** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "მოზაიკა" (გამ. **30** ივლისი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **2.** "თამარ მეფის წერილი რუქნადინისადმი" (გამ.**2** აგვისტო) **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის სამი დღე "** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **15.05** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" III ნაწ. **15.20** ქართ. ან/ფ **1.** რაც მოგივა დავითაო **2.** ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ **15.40** დ/ფ "მოქვი" **16.20** კონცერტი **17.20** ჩვენი ფონდი "ბელა წიფურია--კოლონიური გამოცდილება და ქართული ლიტერატურა" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **43.** ადამიანის ღვთის ხატად და მსგავსად შექმნა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "გივი მუნჯიშვილი" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.20** ჩვენი საგანძური "ღიღლოს მგოსანი გაბრიელ ჯაბუშანური" **22.40** დ/ფ "საპოვნელა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო...**20.** მიცვალებულთა დაკრძალვის ქრისტიანული წესი **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ქალთა ექიმი"** **10.05** სერ. **"ტატიანა"** **111.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **13.00, 14.05, 1.00** სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.05, 17.05, 2.30** სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **18.55, 19.05** სერ. **"ზოგადი თერაპია"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ჯადოქარი"** **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. **"მახე"** **23.30** სერ. **"ფროიდის მეთოდი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3479

ევრო — 2.6083

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0898

100 რუსული რუბლი — 3.5119

## ამინდის პროგნოზი 4 აგვისტოსთვის





2 აგვისტოდან
ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი







5 აგვისტოდან
ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



ოპერმუშაკი პოლიციის განყოფილებაში თავის უფროს ურეკავს. უფროსი ეკითხება:

– აბა, რა ხდება მანდ?

– მკვლელობის მცდელობა. დაზარალებული 38 წლის მამაკაცია. ცოლმა ტაფა თავში ექვსჯერ ჩასცხო ახლადმორეცხილ იატაკზე შესვლის გამო. დაზარალებული „სასწრაფომ" საავადმყოფოში გადაიყვანა.

– ცოლი დააკავეთ?

– ჯერ არ დაგვიკავებია, იატაკი ჯერ კიდევ სველია...

●●●

ქმარი ცოლს მიმართავს:

– როზა, მიღალატე?!

– მე მეგონა, რომ მიმატოვე...

– მე ხომ სულ ათი წუთით ვიყავი გასული ტუალეტში.

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებულ თვალჩალურჯებულ ქალიშვილს მამა ეკითხება:

– შვილო, რა მოგივიდა?

– თავს დამესხნენ, ტელეფონის წართმევა უნდოდათ.

– მათ ამოცნობას შეძლებ?

– მე რატომ უნდა ამოვიცნო, მათმა მშობლებმა იმტვრიონ მაგაზე თავი.

●●●

მამა შვილს ურეკავს:

– შვილო, ჩამოდი სოფელში.

– არ მინდა.

– ცუდია, არადა, სასმელი გვაქვს, გოგოები გვყავს, დროს კარგად ვატარებთ.

– კარგი, რა, მამა, მეორედ აღარ მოვტყუვდები, თქვენ თვითონ ამოთხარეთ ეგ კარტოფილი!

●●●

სომეხი სტუმრებს მიმართავს:

– უკვე მიდიხართ?

– ჰო, – უპასუხა ერთ-ერთმა სტუმარმა.

– მერე, ასე ნელა რატო?

●●●

მოხუცი ქალი ქუჩაში თავის გამომცხვარ ღვეზელებს ყიდის. ერთ-ერთი გამვლელი ეკითხება:

– ბებო, ეს ღვეზელები ახალია?

– ჰო, შვილო, დღეს დილიდან ახალია!..

●●●

შვილი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, ქმარმა მაწყენინა... შენთან მოვდივარ!

– არა, შვილო! შენი ნაძირალა ქმარი უნდა დაისაჯოს! მე მოვდივარ შენთან!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.


# არაფერი მოულოდნელი — ზაგრებმა ლოგიკურად მოგვიგო

<u>დინამო (თბ) – დინამო (ზ) 0:1</u>

**თბილისი.** დინამო არენა

0:1 როგი (8)

**დინამო თბ:** სკრიბე, ლობჟანიძე, რენე, ამისულაშვილი, შპიჩიჩი (კიტეიშვილი 46), პარუნაშვილი, პაპუნაშვილი (ალვარო 72), ჯიღაური, ჭანტურიშვილი, კურიე (გელაშვილი 46), დვალიშვილი

**დინამო ზ:** ედუარდუ, სიგალი, შინდელფელდი, ბენკოვიჩი, სოსა (მატელი 53), ჟონასი (ჩორიჩი 77), სტოიანოვიჩი, როგი, ანტოლიჩი, ფერნანდესი (პავიჩიჩი 72), სუდანი

რთულია, ითამაშო წარმატებულად ისეთი გუნდის წინააღმდეგ, რომლის ბიუჯეტი 70 მილიონიაო – თქვა თამაშის შემდეგ თბილისის დინამოს მთავარმა მწვრთნელმა იურაი ირაბეკმა, რომელმაც არც კი იცოდა, რომ ამ სიტყვე-



ბის თქმისას ნახევრად სამოყვარულო, სულ 900.000 ევროს ბიუჯეტის მქონე ირლანდიური დანდალკი ბელარუსულ ბატეს ამარცხებდა, გუნდს რომელსაც რამდენჯერმე აქვს დაჭაშნიკებული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი.

ირლანდიელებმა თავად გაინაღდეს ევროპა ლიგის ჯგუფური ეტაპი და თუ კენჭისყრაშიც გაუმართლებთ, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაზეც კი გააგრძელონ ასპარეზობა.

გასული სეზონის აღმოჩენა ლესტერი კი ისევ ყველამ მიივიწყა, მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მწირბიუჯეტიანმა კლუბმა ფეხბურთი ითამაშოს.

არ გამოდგება თავის მართლებად უსუსური არგუმენტი, მითუმეტეს რომ, შემადგენლობის შერჩევისას მწვრთნელია პასუხისმგებელი და გუნდში არ უნდა მიიყვანო ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც შედეგს ვერ დადებენ. ასეთები კი მრავლად ჩანან დინამოში. ჯერ ვერაფერში გამოვიყენეთ მატიას კურიე, ერთხელ არ გადაურჩენია გუნდი ანტუან

გაგრძელება მე-9 გვერდზე


3 აგვისტოდან
აკა მორჩილაძე
გადაფრენა მადათოვზე და უკან
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




9 აგვისტოდან
თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ტომი 1




12 აგვისტოდან
თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ტომი 2





# სილამაზის კონკურსის ფინალისტები ერთმანეთს სახის ნაკვთებით ჰგავდნენ

ამერიკის მოზარდ გოგონათა სილამაზის კონკურსის ფინალისტები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს გარეგნულად.

ხუთი ფინალისტი ლას-ვეგასში შეირჩა. მის ტეხასი კარ-




ლი ჰეი, მის სამხრეთ კაროლინა მარლი სტოკსი, მის ჩრდილოეთ კაროლინა ემილი ვეიკმენი, მის ალაბამა ერინ სნოუ და მის ნევადა სარისა მოროუ, რომლებიც კონკურსის დასკვნით ეტაპზე გავიდნენ, ცისფერთვალება, ქერათმიანები და მსგავსი სახის ნაკვთებიანები აღმოჩნდნენ.

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება სოციალურ ქსელებში მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. მაგალითად, მოდელმა კრისი ტეიგენმა სარკასტულად აღნიშნა, რომ ჟიურის რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს.

– მე ვფიქრობდი, რომ ყველა ერთი და იგივე გოგონა იყო, – დაწერა სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

საბოლოოდ მიმდინარე წლის კონკურსის გამარჯვებული მის ტეხასი კარლი ჰეი გახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 2. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 3. ერთგვარი ბაყაყი; 4. ქართული ავიაკომპანია; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 11. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 12. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 13. გერმანელი მწერალი, რომან „სამი მეგობრის" ავტორი; 14. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 15. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 17. სადაზღვევო მოწმობა; 19. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე ქორწილში.

**თარაზულად:** 5. ნორვეგიის, დანიის, შვედეთის მეფეთა ტიტული; 6. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მექსიკელი მხატვარი ქალი; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული თავსამკაული; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 14. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 16. უძველესი ქართული სამეფო; 18. ტბა შუა აზიაში; 20. ფულის გაცემა სესხად; 21. რომელიმე ენის სიტყვათა მარაგი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი